1890 წელსა, № 12 30 ივნისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ წ ყ ე მ ს ი

ოფიციალური განყოფილება საქართველოს საექსარხოსოისა.

შ ი რ ი.

**უკაზი მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, რუსეთის თვითმპყრობელისა, უწმიდესი და უმართებელესი სინოდისაგან 9 დეკემბრიდგან 1889 წლისა № 13, საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის სახელზე.**

უკაზისამებრ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, უწმიდესმა და უმართებელესმა სინოდმა მოისმინა: წინადადება უ. სინოდის ობერ-პროკურორისა 13 ნოემბრიდგან 1889 წლისა, № 12324, შემდეგი შინაარსისა: სასმელების გადასახადის წესდების 416 მუხლის ძალით, გამოცემულის 1887 წ., მაგარი სასმელების ნაჭრად გასასყიდველი დუქნების გაღება, გარდა პივის დუქნებისა, აღკრძალულია ტაძრებთან, მონასტრებთან, ეგუტერებთან, (რომლებშიაც სრულდება ღვთის-მსახურება ანუ რაიმე საზოგადო ლოცვა) და სამლოცველო სახლებთან 40 საჟენზე ახლოს; იმავე წესდების 416 მუხლის ძალით აღნიშნული მანძილი შეიძლება ზოგიერთი ადგილობითი პატივ-სადებ პირობათა გამო, იქმნეს გადიდებულ ანუ შემოკლებულ კერძო დუქნებისათვის, სამაზრო დაწესებულებათა და ქალაქის საბჭოების წარდგენილობით, საგუბერნიო სასმელების საქმეთა შესახებ დადგენილ დაწესებულებათაგან, ფინანსიის მინისტრის დამტკიცებით. ამის გამო, გაღება იმგვარი დუქნებისა, რომლებშიაც ნაჭრობით უნდა გაისყიდოს მაგარი სასმელები, ხდება ხოლმე ხშირად სასმელების გადასახადის წესდების 416 მუხლის ძალით, 40 საჟენზე ახლოსაც მართლმადიდებელ ტაძრებთან, მონასტრებთან და ეგუტერებთან, და საგუბერნიო სასმელების საქმეთა შესახებ დადგენილი პრისუტსტვიები ხშირად ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ იმ ადგილობით პირობათა, რომელთა გამო სასმელების გასასყიდველი დუქნების გაღება ტაძრების მახლობლად მოუხერხებელი ხდება. ასეთმა წესებმა გამოიწვიეს საჩივრები როგორც ეპარქიების მთავრობათაგან, ისე კერძო პირებისაგან, რომ დახურულ იქმნენ სასმელების გასასყიდველი დუქნები ტაძრების მახლობლად, რადგანაც ამ დუქნებში ხმაურობა და ლანძღვა-გინება წინააღმდეგნი არიან ტაძრების სიწმიდისა და მასთან ცუდათ მოქმედებენ მლოცველებზე, ამ განცხადებათა გამო ფინანსიის მინისტრს ეცნო, რომ შემდეგში საგუბერნიო სასმელების საქმეთა პრისუტსტვიები სანამ იგინი განიხილავდენ შუამავლობათა მაგარი სასმელების გასასყიდველი დუქნების გაღების შესახებ 40 საჟენზე ახლოს ტაძრებიდამ, მონასტრებიდამ, ეგუტერებიდგან და სამლოცველო სახლებიდგან, გამოითხოვდენ ხოლმე თანხმობას ადგილობითი მღვდელთ-მთავრისას, თანახმად სასმელების გადასახადის წესდების 424 მუხლის მესამე შენიშვნისა, რომლის ძალით, სასმელების გასასყიდელი დუქნების გაღება საეკკლესიო და მონასტრების ადგილებზე დამოკიდებულია ადგილობით ეპარქიალურ მთავრობაზე. დღეს ტაინი სოვეტნიკი ვიშნეგრადსკი გვაუწყებს, რომ მისგან ცირკულიარულად მიეწერა საგუბერნიო სასმელების საქმეთა შესახებ დაწესებულებათ, რომ ვინემ იგინი განიხილავდენ ქალაქების საბჭოთა და სამაზრო სასმელების საქმეთა გამგე დაწესებულებათა შუამავლობას სასმელების გასასყიდელ დუქნების გაღების შესახებ მახლობლად ტაძრებისა, მონასტრებისა, ეგუტერებისა და სამლოცველო სახლებისა, მოითხოვდენ ხოლმე ადგილობითი მღვდელ—მთავრის აზრს. უ. ობერ—პროკურორი სინოდისა, საჭიროდ ხედავს, რომ ფინანსიის მინისტრის ზემოთ აღნიშნული განკარგულება ეცნობოს ეპარქიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდელთ—მთავრებს. ბრძანეს: ხსენებული წინადადება მიღებულ იქმნეს ცნობაში, და მისი შინაარსი ეცნობოს ეპარქიის მღვდელთ—მთავრებს ცირკულიარული უქაზებით, საცნობლად და საჭირო შემთხვევებში სახელმძღვანელოდ. 9 დეკემბერს 1889 წელსა.

ნამდვილზე ხელი მოაწერეს:
ობერ მდივანმა ი. ისპოლატოვმა.
მდივანმა ნ. ტოკიმაკოვმა.

ეს უქაზი იბეჭდება საქართველო—იმერეთის სინოდალნი კანტორის განკარგულებით საქართველოს საექსარხოსოს მღვდელთ—მთავრების და ბლაღოჩინების საცნობლად და საჭირო შემთხვევებში სახელმძღვანელოდ.

---

განჩინება უწმიდესი სინოდისა სახელმწიფო ტყეებიდგან ხის მასალის უსასყიდლოდ მიცემის შესახებ საეკკლესიო და სამლოცველო შენობათა აღსაშენებლად დ შესაკეთებლად.

ეპარქიის ერთმა მღვდელ—მთავარმა სთხოვა უწმიდეს სინოდს, რომ მას უსასყიდლოთ მისცემოდა სახელმწიფო ტყიდგან ხის მასალა ერთი ახალი ეკკლესიის აღსაშენებლად ერთ სოფელში, რომელშიაც ძველი ტაძარი, სიძველისა გამო, ინგრეოდა და სოფლელებს კი უკიდურესი სიღარიბისა გამო არ შეეძლოთ ტაძრის აღშენება. მღვდელ—მთავრის მოხსენებიდგან სჩანს, რომ თუმცა ეპარქიის მთავრობას ძალისა გამო ტყის წესდების ტ. VIII კანონ. კრების 262 მუხლისა, გამოცემულის 1876 წ., უთხოვნია სახელმწიფო ქონებათა ადგილობითი გამგეობისათვის აღნიშნული საჭიროებისათვის ხის მასალის უფასოდ მიცემა სახელმწიფო ტყიდგან, მაგრამ ხსენებულ გამგეობას უარი უთქვამს ჯეროვანი განკარგულების მოხდენაზე და მასთან უჩვენებია ტყის დეპარტამენტის მოწერილობა 13 სექტემბრიდგან 1875 წლისა, რომლის ძალით სახელმწიფო ტყიდგან ხის მასალის უფასოდ მიცემა საეკკლესიო შენობათათვის დამოკიდებულია სახელმწიფო ქონებათა სამინისტროზე უწმიდესს სინოდთან შეთანხმებით. უწმიდესმა სინოდმა, თანახმად თავის დადგენილობისა 12 აგვისტოდგან, 1889 წლისა, წინადადება მისცა უ. სინოდის ობერ—პროკურორს, რომ იგი ამ საქმის შესახებ დაჰკითხოდა სახელმწიფო ქონებათა მინისტრს, და ეთხოვნა მისთვის, რომ შემდეგი დროისათვის სახელმწიფო ტყიდგან ხის მასალის უფასოდ მიცემა საეკკლესიო შენობათათვის მომხდარიყო თანახმად ტყის წესდების 262 მუხლისა, როცა კი ეპარქის მთავრობანი მიიქცეოდენ ამ საგნის შესახებ სახელმწიფო ქონებათა გამგეობაში. დღეს ამ საგნის შესახებ მომხდარ მიწერ—მოწერათა აღსრულებისათვის, ტყის დეპარტამენტი სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი ცირკულიარული მიწერილობით 12 ოქტომბრიდგან 1889 წ. № 20, 698, აცნობებს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროებს, რომ ეპარქიის მთავრობათა თხოვნები ყველა იმ შემთხვევებში, როდესაც ყოვლად სამღვდელონი ითხოვენ სახელმწიფო ტყიდგან ხის მასალის უფასოდ მიცემას ტაძრებისა და მონასტრების აღსაშენებლად და შესაკეთებლათ, შეიძლება დაკმაყოფილებულ იქმნენ თვით გამგეობათაგან სამინისტროსაგან დამტკიცებულ მიმდინარე სმეტაში მოხსენებული სახელმწიფო ტყეებიდგან, თუ ნათხოვნი მასალის მიცემის შესახებ არავითარი ეჭვი არ არის და მასთან თხოვნებთან ერთად წარდგენილ იქნებიან, თანახმად ტყის ინს. 263 მუხლისა, აღნიშნული მასალის სმეტა, რაიცა საჭირო არის ტაძრების და მონასტრების აღსაშენებლად და შესაკეთებლად. და მხოლოდ მაშინ უნდა წარადგინოს ხახელმწიფო ქონებათა გამგეობამ ეპარქიის მთავრობათა შუამდგომლობანი სამინისტროს განსახილველად, როდესაც ამ შუამავლობათა დაკმაყოფილება დამტკიცებულ ხარჯში მოხსენებული სახელმწიფო ტყეებიდგან შეუძლებელი აღმოჩნდება, ანუ როცა ნათხოვნი მასალის რაოდენობა საეჭვოა.

---

1890 წელსა, № 12 30 ივნისს.

# მწყემსი

1883-1890

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

გაზეთის ფასი:

| «მწყემსი» | | «მწყემსი» რუსული გამოცემით | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 5 მან. | 12 თვით . . . | 6 მან. |
| 6 — . . . | 3 — | 6 — . . . | 4 — |

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება ამადრესით: въ Кутаисъ, Въ контору редакціи „Мцкемси“ (Пастырь).

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავ-ლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნოს

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## თელავის სასულიერო ოთხ—კლასიანი სასწავლებლის სამმართველოსაგან.

თელავის სასულიერო ოთხ კლასიანი სასწავლებლის სამმართველო ამით აუწყებს ხსენებული სასწავლებლის მოწაფეთა მშობლებს და ნათესავებს, რომ განმეორებითი ეგზამენები დანიშნულია სასწავლებელში 25 აგვისტოდამ ამა წლისა, ხოლო მისაღები ეგზამენები—31 აგვისტოდამ პირველ სეკტემბრამდე.

---

## საერო ჟურნალ-გაზეთთა მსჯელობა სამღვდელოების ჯამაგირების და მათი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ.

კარგა ხანია მას აქეთ, რაც აღძრულია კითხვა ჩვენი სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობაზე. ამ საგნის შესახებ მეტად გაცხარებული ბაასი ჰქონდათ სამოც წლებში, მაგრამ ეს გაცხარებული კამათობა ბოლოს დროს თან-და-თან მიჩუმდა და საქმე იქამდის მივიდა, რომ სამღვდელოების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის დაარსებული კომიტეტებიც კი გაუქმნდენ.

სწორედ გასაოცარი და საარაკონი არიან ზოგიერთებისაგან წარმოთქმული აზრები, ისიც ბეჭვდითი სიტყვით, ჩვენი სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობის და მათთვის ჯამაგირების დანიშვნის შესახებ. ყველას ჰქონდა უფლება თავის აზრი გამოეთქვა ხსენებული კითხვის შესახებ და, მართლაც, ყველანი თავისებურად სჯიდენ ამ საგანზე. ზოგნი ამტკიცებდენ, რომ სამღვდელოება უჯამაგიროდ უნდა მსახურებდეს სამრევლოებს, რადგან უსასყიდლოდ მიუღებიესთ და უსასყიდლოდ მისცემდნენ. ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ სამღვდელო პირთაც უნდათ სმა-ჭამა და ცხოვრება და ამიტომ მათთაც უნდა დაენიშნოს ჯამაგირები მათი სამსახურისა მებრრო. ზოგნი ამტკიცებდენ და დღესაც ამტკიცებენ და ამათ ეთანხმებიან სამღვრელო პირნიც, რომ ჩვენს სამღვდელოებას მეტად ამცირებს ხორაგეულობის და დრამის კრება სამრევლოში და

ამასთან ამ გარემოებას მეტად ცუდი ზედგავლენა აქვს როგორც სარწმუნოებაზე, ისე ზნეობაზედ. ვიდრემდის ჩვენი სამღვდელოება ხელში შეჩერებია სამრევლოს, ვიდრემდის ჩვენი სამღვდელოების ცხოვრება დამოკიდებული იქმნება მრევლზე, მათგან მისაცემ დრამაზე და საჩუქრებზე, მანობამდის სიკეთე არ იქნება, და მღვდელი, მქადაგებელი ქრისტეს სახარების სწავლისა და სარწმუნოებისა, ხალხის თვალში არ ამაღლდება და არავითარი გავლენა არ ექნება ხალხში. ერთი სიტყვით სამღვდელოების დამამდაბლებელ მიზეზად, სარწმუნოების და ზნეობის დამამცირებლად და დამასუსტებლად მიაჩნდათ და დღესაც მიაჩნიათ ზოგიერთებს დრამის ფულის და საჩუქრების მიღება და თავის მამულში მიწის მუშაობა სამღვდელოების მხრით. ზოგნი პირიქით ამტკიცებდნენ, რომ თუ სამღვდელობას ჯამაგირი დაენიშნა, იგი მაშინ მთლად გაზარმაცდება და თავის სამსახურს გულით აღარ მოეკიდება, რადგან დარწმუნებული იქმნება, რომ ჯამაგირს მაინც მიიღებს თავის დროზედო და სხვ. და სხვ.

1876 წლიდგან კითხვა სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ თანდა-თან მიჩუმდა და ამ ბოლო ხანებში აღარასფერი ისმოდა ამ საგანზედ არც სასულიერო და არც საერო ჟურნალ-გაზეთებში. ახლა ხან ისევ აღიძრა მივიწყებული კითხვა სამღვდელოებისათვის ჯამაგირების დანიშვნაზედ, ნაცვლად დრამის ფულებისა და საჩუქრებისა. დღეს ამ კითხვის შესახებ ყველა საერო ჟურნალ-გაზეთებზე უფრო ბევრს ლაპარაკობს და სწერს პეტერბურგის ერთი რუსული გაზეთი «Новое Время». ეს გაზეთი, სხვათა შორის, ურჩევს მმართებლობას, რომ მან ოც-და-ცამეტი მილლიონი ფული გადადვას სამღვდელოების ჯამაგირებად. აქედგან დეკანოზებს დაენიშნოსთ წელიწადში ათას ორასი მანეთი, მღვდლებს ექვსას-ექვსასი მანეთი, მთავარ-დიაკვნებს სამას-სამასი მანეთი და მედავითნეებს ორას-ორასი მანეთი. მღვდლებს დაედგინოს მოვალეობად, რომ მათ ყოველგვარი მღვდელ—მოქმედება აღასრულონ მრევლს უსასყიდლოდ, და ამ გვარად მრევლნი განთავისუფლებულ იქმნენ ყოველივე გადასახადისაგან საეკკლესიო კრებულის სასარგებლოდ. სთქვა და მორჩა! ამ შემთხვევაში «Новое Время"-ს რედაქტორი მოგვაგონებს ჩვენ განსვენებულ ენოქას, რომელმაც სიკვდილის წინათ შეადგინა ანდერძი, რომლის ძალით ტერ დ—ს დაუტოვა 6000 მ. დასამარხად სხვა-და-სხვა კეთილ საქმეებზე მოსახმარებლად. მაგრამ, როდესაც ჰკითხეს ენუქას, თუ სად არის ეგ ფულებიო? მან უპასუხა: «მე კი ვსთქვი და ფულს რას დავეძებ, სადაც გინდათ, იქ იშოვეთ!»....

სად არის ეს ოც-და-ცამეტი მილლიონი! რომელი წყაროდამ უნდა შემოვიდეს იგი? ამას წინეთ ერთი მილლიონი თუ ნაკლები ფული უნდა შემოსულიყო და მეტი საშუალება ვერ გამონახეს და სპიჩკაზე (წუნწუბაზე) დაადვეს გადასახადი. სწორედ აზარებული მოსაზრება არის ამ დარბაისელი გაზეთის მხრით ამისთანა უმგვანო აზრის გამოთქმა. წარმოიდგინეთ, ზოგიერთი სამღვდელო პირებიც კი დარწმუნებულან, რომ სწორედ აღსრულდება „Новое Время»-ს აზრიო და თავისი მხრით სთხოვენ, ვისიც რიგია, მიაქციონ ყურადღება და ორას ორმოცდა ათი მანეთი კიდევ მიუმატონ ექვსას მანეთს, რადგან 600 მ. არ ეყოფათ იმ მღვდლებს, რომელთაც შვილები ჰყავსთ გამოსაზრდელიო!.. სწორედ სასაცილო საქმეა, რომ მეორეს მხრით ასე სამწუხარო არ იყოს იგი.

ამ პატივცემული გაზეთიდამ სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდეს ეს შეუსაბამო აზრი გაურკვევლად და განუმარტებლად. ზოგიერთ გაზეთებში მოხსენებულია: «Новое Время»-ს სიტყვით სამღვდელოებას ჯამაგირები ენიშნებათ: დეკანოზებს 1200 მ., მღვდელს 600 მ. და სხვა. ამიტომ მღვდლებმა მღვდელმოქმედებისათვის მრევლს აღარასფერი უნდა გამოართვან. სამრევლონიც ფიქრობენ, ალბად რასაც სწერენ, მართალიაო და მღვდლებს ზოგან აღარასფერს არ აძლევენ. ზოგიერთ ადგილებიდამ მღვდლები გვატყობინებენ, რომ მრევლი აღარასფერს გვაძლევს, გვეუბნებიან: «თქვენთვის ჯამაგირები დაუნიშნავსთ!.. ჩვენ თვითონ წავიკითხეთ „ივერიაშიო“ და გაზეთში ხომ ტყუილს არ დაბეჭდავენო და სხვა».

საკვირველია ეხლანდელი ჩვენი დრო. ყოველი სამწუხარო მოვლენათა მიზეზებს იქ ეძიებენ, სადაც იგინი არ მოიპოებიან. ერთ დროს რომ მოუფიქრებლად, უსაფუძვლოდ და გაუგებლად აქებენ რომელიმე წეს-წყობილებას და მოქმედებას, მეორე დროს ამავე წეს-წყობილებას და მოქმედებას აუგებენ და ყოველივე უბედურების მიზეზად გამოჰყავსთ. ამ საგანზე რომ ჩვენ დაწვრილებით გავაბათ ბაასი, მის გათავებას ვერ მოვესწრებით. ამისათვის საჭიროდ ვრაცხთ ჩვენს მკითხველებს წინ დაუყენოთ პირ-და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირი კითხვები, რომლებზედაც მათ თვით შეეძლოსთ პასუხის მიგება:

პირველს საუკუნეებში თუ მოციქულები მორწმუნეთაგან იღებდენ საზრდოს, და შემდეგ დროებში წმ. მამანები მორწმუნეთა შეწირულებით და საჩუქრებით სცხოვრებდნენ, მაშინ რატომ არ სუსტებოდა სარწმუნოება და ზნეობა ხალხში?

ყველამ უწყის, რომ საშუალო საუკუნეებში მღვდლები იღებდნენ მრევლისაგან დრამას და ნივთიერს საჩუქრებს, მაგრამ სამღვდელოების სიტყვა—ქადაგებას მაშინ დიდი გავლენა ჰქონდა მორწმუნეებზე. თუ ეს წეს-წყობილება მაშინდელ დროში არ ამდაბლებდა სამღვდელოებას სამწყსოს თვალში, დღეს რაღა მოხდა, რომ ეს წეს-წყობილება მიაჩნიათ ყოველივე უბედურების მიზეზად?

ზოგიერთი წმ. მამანი თავის შრომით ირჩენდნენ როგორც თავის თავს, ისე მრავალ გაჭირვებულთა ასაზრდოებდენ, მაგრამ ამ შრომას მათი მოღვაწეობისათვის ხელი არ შეუშლია. ნუ თუ ესეთივე შრომა და მოღვაწეობა დაამდაბლებს დღეს ჩვენს სამღვდელოებას?

გადაავლეთ თვალი რუსეთის ვრცელ იმპერიას. ზოგიერთ ეპარქიებში სამღვდელოებას დიდი შემოსავალი აქვს და ყოველის მხრით უზრუნველია, მაგრამ ამავე ეპარქიებში აუარებელი მწვალებლები (Сектанты) არიან და ეკკლესიებიც შეუფერებლად არიან მოწყობილნი, როდესაც ამავე დროს სხვა ადგილებში ღარიბი სამღვდელო პირნი ბევრად უკეთესად და ბეჯითად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. რა არის ამის მიზეზი?

აიღეთ, მაგალითად, სამხედრო და საეპარქიო უწყებათა სამღვდელო პირნი. რამდენად გაუმჯობესებულია ნივთიერი მდგომარეობა სამხედრო უწყების სამღვდელოთა, მაგრამ გვიჩვენეთ, თუ რას შველის საქმეს ეს დიდი ჯამაგირები?

წმ. მამანები ძველ დროში სიღარიბისაგამო უბრალო ხისგან გაკეთებულ ბარძიმ-ფეშხუმით აღსრულებდნენ წირვას და თავის ფეხით დაიარებოდენ, მაგრამ ამ სიღარიბეს არ მოუშლია მათთვის წმიდანებად დარჩენა.

მართალია, სიღარიბე სასურველი არ არის და ამიტომ ყველანი უნდა ცდილობდნენ სიღარიბეს თავი დააღწიონ და საზრდო მოიპოვონ, მაგრამ არასოდეს არ დავიჯერებთ, რომ დიდმა ჯამაგირებმა, მდიდრულად მორთულმა სასახლეებმა, ეტლებით სიარულმა, ნებივრობამ, ფუფუნებითი ცხოვრებამ და გაურჯელობამ სარწმუნოება და ზნეობა აღამაღლოს ხალხში. უბედურება ის არის, რომ ჩვენ ვქადაგებთ სახარებას და ამავე დროს კი ჩვენი ცხოვრება მოწყობილია ჩვენგან ნაქადაგები სახარების სწავლის წინააღმდეგ. აი სწორედ აქ არის უმთავრესი მიზეზი სარწმუნოების დ ზნეობის დამცირებისა და დასუსტებისა.

# ძირითადი უკუღმართობა.

გაჰქრა ენა? გაჰქრა ხალხიც...
უშინსკი.

გაგიგონიათ მებაღე, რომელიც საშინლად მონატრული ყოფილიყოს ხილის უხვის მოსავლისა და ხეხილებისათვის-კი ძირი და ფესვები ეთხაროს, ეფუშქებინოს, ეხმოს? განა არ გაგიგონიათ?

გადაავლეთ ახლა ყურადღებით თვალი ჩვენის მოზარდის თაობის აღზრდა-სწავლასა და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენ შორის მოიპოვებიან არა-ერთნი და ორნი მშობელნი, რომელნიც ამ საარაკო, არ გაგონილს მებაღეს მოგაგონებენ. მართლა და რომელი მშობელი არა ნატრობს თავისი შვილებისათვის გამჭრიახს ჭკუასა, ღრმა გრძნობასა, მტკიცე ხასიათსა, ერთი სიტყვით კაცურს კაცობასა? განა ზოგნი, ჩვენდა სამწუხაროდ, თვითონვე საკუთარი ხელით ძირს უთხრიან თავიანთ შვილების სულის განვითარებას, ფესვებს უხმობენ მათ სულის დასრულებასა. როგორ? იგინი ნორჩი თაობის აღზრდა-სწავლაში ადგანან იმისთანა უკუღმართ გზასა, რომელიც ძლიერ დამაქვეითებელია აზროვნებისაც, გულისაც, ხასიათისაც და რომელიც ფუქსავატობის დედაა, მამა და გამდელი, რაში მდგომარეობს ეს უკუღმართი გზა?

ვისაც კი მეტ-ნაკლებობით გაგებული აქვს, თუ რაში მდგომარეობს სისრულე ენისა, მისი სიმდიდრე და კაფიობა, არ შეიძლება არ დაგვეთანხმოს, რომ ქართული ენა ეკუთვნის მაღალი აგებულების ენათა დასსა. ჩვენმა ენამ გაფურჩქნა თავის ფორმები და დაამყარა თავის ორგანიულს ნაწილებს შორის სრული გარმონია ძველთაგანვე, მეთორმეტე საუკუნეში. ჰკითხეთ ლინგვისტებს, ენის-მეტყველთა, რაში მდგომარეობს ღირსება ენისა და ისინი დაგისახელებენ: სიმარტივეს ბრუნვებისას, გრამატიკულის სქესების არ ქონვას, ხმოვანს დაბოლოებას სიტყვებისას, ხმა ასამაღლებელის დამორჩილებას რაიმე განსაზღვრულს კანონზედ, მრავალ-ფეროვნებას და მოქნილებას ზმნის ფორმებისას, სიმდიდრეს სინონიმებისას, ლექსიკონისას. ვინ არ იცის, რომ ყველა ეს ღირსება სრული კუთვნილებაა ქართული ენისა, რომელიც ამ ღირსებათა წყალობით ყველა ცოტაოდნად განსხვავებულს მდგომარეობას, მოქმედებას, ვითარებას განახორციელებს განსაკუთრებითი, ზედ გამოჭრილი ფორმით, გამოხატულებით!

დიახ, ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალ-მხრივანი, როგორც არის ბუნება კავკასიისა, სადაც ერთს პატარა ადგილზედ პოლუსი, ტროპიკი და ზოგიერთი სარტყელი ერთად შეყრილან, სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის წვერები ზევიდგან ძირს დასცქერიან ბროწეულს, ლეღვს, ვაზს, ლიმონს, ფორთოხალს და სხვა ტროპიულს მცენარეობას, და სადაც რამდენსაც ნაბიჯს გადასდგამ, იმდენს ახალ-ახალს სურათს შეხვდები. ქართველი ენა ისეთივე მრავალ-ფეროვანია, როგორიც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, სავსე მრავალ-გვარი მოქმედებითა, თვისებითა აზროვნებითა, გრძნობითა, დიდი სიხარულითა, ძლიერ მწუხარებითა, და რომელიც წარმოადგენს იმ გვარს ღრმას და დაუსრულებელს დრამმას, რომ ასი შექსპირიც ვერ ამოსწურავდა მას ძირამდის, ერთი რუსული მწერალისა არ იყოს. ჰკითხეთ ჩვენს იღბლიანს მეზობლებსა: რა გშურთ ქართველებისაო, და ისინი თქვენ დაგისახელებენ ჯერ ქართულ ენასა და მერე გაერთებულს შეკუმშულს, ტერიტორიასა.

დიახ, ლინგვისტი, რომელიც ზედ მიწვენით შეისწავლიდა ქართულს ენას, იტყოდა ამაზედ სწორედ იმასვე, რაც სთქვა გამოჩენილმა მსწავლულმა უსლარმა ქართულს ანბანზედ, რომელიც მან აღიარა უუსრულეს ანბანად მთელის დედამიწის ზურგზედ.

მაგრამ ვაფასებთ ჩვენ ამ დაუფასებელს საუნჯესა? გვესმის ჩვენ ამ მისი უმაღლესი ღირსება და მნიშვნელობა? ქართული ენა ამ ჟამად ჰგავს მშვენიერს ფოლადის სახნისსა, რომელიც უგუნურს პატრონს კუნჭულში მიუგდია, იშვიათად ხმარობს და ჟანგს აჭმევინებს. ამიტომ, ობექტიურად, თავის-თავად მდიდარი და განვითარებული, ქართული ენა სუბექტიურად, ჩვენს პირში, არის ღატაკი და დღე ნავლულის არსებას მოგაგონებთ.

კიდევ ისე სამწუხარო არ იქნებოდა ქართული ენის აბუჩალიაქად აგდება, რომ ამ მოვლენას ვხედავდეთ მხოლოდ სასწავლებელში; მაგრამ სავაგლახო და სავალალო ის გახლავთ, რომ იქაც კი, სადაც დედა-ენა უნდა შეუცილებლად უფლობდეს და სუფევდეს, მას ეპყრობიან აქა-იქა მაინც სწორედ ისე, როგორც ავ-გული დედინაცვალი ექცევა თვალ-წუნებულს თავისს გერსა. ეს მომაკვდინებელი სენი ცოტ-ცოტათი იპარება ქართულს სახლობრივს სფერაშიაც და ისიც რომელში? არა მარტო გადაბირებულს მოხელეთა ჯალაბობაში და ზოგიერთს გაფუქსავატებულს არისტოკრატებში, არამედ თვით ჩვენს განათლებულს დასსაც-კი შეჰყრია. არა ერთს განათლებულს ქართველს სახლობას შეხვდები, სადაც მოზარდი თაობა ლაპარაკობს და ტიტინებს რომელსამე უცხო ენაზედ და ქართულისა-კი ჭაჭანებაც არ ესმის. უფრო კიდევ სამწუხარო ის არის, რომ ამ გვარ სახლობათა რიცხვში ხედავთ მეორმოცე და მესამოცე წლების ზოგიერთთა პატრიოტებსაც, რომელნიც ლიტერატურაში ცხარ-ცხარე სიტყვებს ხარჯავდნენ მამულის სიყვარულზედ და საქმე კი იმითი გაათავეს, რომ თვითონაც უღალატეს ეროვნობას და თავიანთ სახლებიდგანაც გამოაძევეს ქართული ენა, ამ კაჟ-ბატონებს რომ ჰკითხოთ, რად დაგებათ პირი უკუღმაო, გასამართლებლად ზოგნი დაგისახელებენ იმ გარემოებას, რომ ჩვენ ბედის წერამ უცხოელს ქალებს გადაგვკიდაო; მაგრამ განა ეს შესაწყნარი საბუთია? განა კაცმა რომ უცხო ტომის ქალი ცოლად შეირთოს, უნდა შეაძულოს შვილებს დედა ენა, სამშობლო და გადაბირების გზაზედ დააყენოს?.. ამაზედ კიდევ უფრო უარესი ის გახლავთ, რომ ზოგჯერ დედაც ქართველია და მამაც, არც ერთი არ არის მოკლებული არც განათლებასა არც გრძნობასა და არც აზროვნობასა; მაგრამ სახლობაში-კი ბრმა მიმდევარნი არიან უგუნურის მოდისა და მასში ამყარებენ, ეროვნულის ატმოსფერის მაგიერ, გადაბირებულს მიმართულებასა.

დედა ენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან შეკავშირებული; იგი როდი ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმა შინაგანი საფუძველი ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში. მთელს მის ბუნებაში; იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულზედ და ხორცზედ. მის ფსიხოლოგიურს და ფიზიოლოგიურს აგებულობაზედ, ყოველს ადამიანს დაბადებიდგან ჰყვება მიდრეკილება და ნიჭი დედა ენის ადვილად და ღრმად შესწავლისა სწორედ იმ გვარად, როგორც ბულბულს ჰყვება დედის მუცლიდგან ბულბულის გალობის ნიჭი, იადონს-იადონურის გალობის ნიჭი და სხვა. ბავშვის ყოველს აზრს, წარმოდგენას, გრძნობას, და სულის მოძრაობას მხოლოდ დედა ენა ხატავს სრულის სინამდვილით, სისრულით და გაფიოდ.

ამასთან დედა ენა არის ძვირფასი საღარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაფრამნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულთან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულს ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით. ამიტომ, როდესაც რომელიმე მშობელი თავის შვილს დედა ენას აშორებს და უცხო ენაზედ ასწავლის, რასა შვრება ის ამითი? იგი ართმევს თავის შვილს ერთად-ერთს ღონის-ძიებას გონების სწორე გახსნისათვის სიპატარავის დროსა, აშორებს მის ბუნებაზედ ზედ გამოჭრილს იარაღსა, რომლის ხმარება და გამოყენება ბავშვს ძლიერ ეადვილება, და მალად აჩენს ხელში იმისთანა შეუსაბამო იარაღს, რომლის მოხმარების შეთვისება ძლიერ ძნელია და რომელიც არას დროს არა გაუწევს ბუნებითი იარაღის სამსახურსა.

ამ გვარი ქცევა მშობლისა ჰბადავს უთანხმოებას, წინააღმდეგობასა ბავშვის სიტყვიერებისა და მის სულის და ხორცის შუა და რომ ამ წინააღმდეგობასა დამღუპველი გავლენა უნდა ჰქონდეს ბავშვზედ, ადვილი მისახვედრია. ბავშვი დაბადებიდგანვე მოკლებული დედა ენის გამაცოცხლებელს გავლენას, ისე ძნელად ისწავლის ჯეროვან აზროვნობას, და ისეთივე უხეირო ჭკუის პატრონი გამოვა, როგორც უხეირო მუზიკანტი შეიქმნება პირი, მესკრიპკედ დაბადებული და მეფორტოპიანედ ძალად გაზრდილი, ანუ, უფრო უკეთ: ამგვარი ბავშვი ემგვანება საცოდავს მერცხალს, რომელსაც ძალ-დატანებით მერცხლის ჭიკჭიკს უკრძალავენ და შოშიას სტვენას ასწავლიან. ამ უკუღმართი გზით აღზრდილი ბავშვი ვერას დროს ვერ ავა იმ გონების სიმაღლემდის, რომელიც შეეფერება მის ბუნებითს ნიჭსა, ვერ მიეწევა ჯეროვანს სიღრმეს აზრისას და გრძნობისას, მეტ-ნაკლებობით გამოვა ნეკერ—ნეკერა, ქარაფშუტა პირი, უხასიათო და იმის ნახევარსაც ვერ გააკეთებს თავის სიცოცხლეში, რის გაკეთების ნიჭიც მისთვის ბუნებას მიუცია. ასე აშკარად სჯის ბუნება ყველას, ვინც-კი მას ღალატობს, გადადის მის კანონებსა და უკუღმართად იქცევა.

ის მოვლენა, რომ ადამიანი ზედმიწევნით სწავლობს უცხო ენებსა, სრულიად არ ეწინააღმდეგება დედა ენის ორგანიულს შეხორცებასა მისს ბუნებასთანა. უხელო ადამიანები ხშირად ფეხითა სჭრიან, ჰკერვენ, სმენ, სჭამენ და აკეთებენ თითქმის ყველა იმას, რის გაკეთებისათვისაც ღმერთს ჩვენთვის ხელი მოუნიჭებია; მაგრამ ნუ თუ ამ ფაქტს შეუძლიან ვისიმე თვალში შეამციროს ხელების უბადლობა, შეუდარებლობა სხვადა სხვა საქმის გაკეთებისათვის! ამავე აზრის დასასურათებლად მარჯვე მაგალითს წარმოგვიდგენს ამერიკის ერთი შროშანი. ეს შროშანი საოცარი ოსტატობით ჰბაძავს ყველა ფრინველის გალობასა და ყველა ცხოველის ხმაურობასა ბულბულის გალობიდგან დაწყებული ძაღლის ყეფამდე. გარნა მხოლოდ თავისი ბუნებრივი სტვენა უხდება მასს, მხოლოდ ამ სტვენით ხატავს კაფიოდ და სრულად ნამდვილს მოძრაობას და გრძნობას სულისას, მარტო ამ თავისი სტვენით ასიამოვნებს მსმენელსა, აწონებს თავსა და თავისს არსებობის თავისებურობას და სარგებლობას ამტკიცებს.

მეტადრე ერთს ფრიად სიმპატიურს სფერაში აშკარავდება უძლურება ყველა უცხო ენისა. ეს გახლავთ ნაზი გრძნობის, ალერსის სფერა. ბავშვი, მოშორებული და მოკლებული დედა ენას, ვერას დროს ვერ მიესაყვარლება თავისს მშობელთა ნათესავთა სრული გრძნობის ძალით, ვერას დროს ვერ იპოვნის იმისთანა ქართველს გულში ღრმად მოსახვედრს გამოხატულებათა, როგორნიც არიან: «შენი ჭირიმე», «შენ გენაცვალე», «შენ გეთაყვანე», «თავ-შემოგევლე», «წამლად დაგედე» და მრავალი სხვანი. ამისთანვე უძლურებას ენისას იგივე ბავშვი გამოცდის დიდობაშიაც თავისს გულის სატრფოს წინაშე, რომელსაც გულის ენის მაგივრად თავისი მხურვალე გრძნობა და სიყვარული უნდა განუცხადოს მეხანიკურად დასწავლილი, ცივი სიტყვებითა; სახსოვრის ენითა და ამითი შეასუსტოს, შელახოს და შეურაცხჰყოს თავისი ძლიერი გრძნობა და თავისი სატრფოს წმინდაგულის მოძრაობაცა.

დიახ, მხოლოდ დედა ენა არის ენა სულისა და გულისა,—ყველა უცხო ენანი-კი არიან ენანი სახსოვრისა.

ეს მარტო ჩვენი აზრი არ არის. იგი ეკუთვნის უჩინებულეს და განთქმულს პედაგოგებს და მეცნიერებს, რომელნიც ისეთის ძალით, ანალიზით და მჭევრ-მეტყველებით ხატვენ მავნებლობას დედა ენის უარ-ყოფისა და მის გაცვლისას უცხო ენაზედ, რომ ჩვენი სიტყვები შეადგენენ მხოლოდ მკრთალს კოპიოს, სუსტს აჩრდილს მათი მსჯელობისას.

გამოჩენილის მსწავლულის შლეინერის აზრით, დედა ენა არის განსაკუთრებული შედეგი ანუ ნაყოფი იმ განსაკუთრებულის აგებულობის ტვინისა, ხმის ორგანოებისა, ნერვებისა, ძვლებისა, რბილისა, რომელიც მინიჭებული აქვს ბუნებიდგან ყოველს კაცსა და ერსა და ამიტომ ისე კარგათ არაფრით იცნობება ერი, როგორც ენითაო. ამიტომ მხოლოდ თავისი დედა ენა

შეუძლიან ადამიანს შეისწავლოს სრულად და იხმაროს იგი სრული სიმარჯვით. უცხო ენების შესწავლა და მოხმარება დედა ენასავით ისევე შეუძლებელია, როგორც ოთხით ან ხელებით სიარული ისე, როგორც კაცი დადის ფეხებით. (ЗОПРАН· ВѢСТНИКЪ—1866 ტომი მეათე, გვერდი 2—3).

„დედა ენა ბევრით უფრო მჭიდროდ არის შეკავშირებული ადამიანის შინაგან არსებობასთან, ვიდრე რომელიმე სხვა ენა, და მისნი ფესვნი ყველაზედ ღრმად არიან გამდგარნი კაცის ბუნებაში», ვკითხულობთ ახლად დაარსებულს რუსულს პედაგოგიურს ჟურნალში «русская школа» «დედაენასთან», აგრძელებს იგივე ჟურნალი, კაცი დაკავშირებულია არა მარტო ფიზიკურად, არამედ მორალურადაც ეს არის ენა ლოცვისა, პოეზიისა, ზნეობრივის და მოქალაქეობის მოვალეობისა. იგი მრავალი ძაფით არის მიბმული ჩვენ სულთანა, მის ლოღიკურს ნიჭთანა, მის მუზიკალურს, მგრძნობიარე მხარესთანა. არიან პირნი, რომელთაც აზროვნობა, ფიქრი შეუძლიათ რამდენსამე ენაზედ; მაგრამ არა გვგონია, რომ ვისმე გრძნობა შეეძლოს გარეშე დედაენისა.—მე უნდა დავიცვა და შევიმუშაო დედა ენა, რადგანაც იგი არის უძვირფასესი საუნჯე ადამიანისა და მასთან შეხორცებულია ჩემი ერის აზრი, გონების განვითარება, შემოქმედობითი ძალა («русская школа» იანვრის წიგნი, გვერდი 24—26).

«ენა ერისა», ამბობს უშინსკი, დიდ პედაგოგად აღიარებული თვით მოწინააღმდეგეთაგანაც კი, «არის საუკეთესო ყვავილი მისი სულიერის ცხოვრებისა, ყვავილი დაუმჭკნარი, რომელიც მუდამ, შეუწყვეტლივ ივურჩქნება. ენაში იხატება მთელი ერი და მისი სამშობლო. ენაში, ერის შემოქმედების ძალის წყალობით, იქცევა აზრად, სურათად და ხმად ცა სამშობლოისა, მისი ჰაერი, მისი ფიზიკური მოვლენანი, მისი ჰავა, მისნი მინდორ—ველნი, მთანი და ღელენი, ტყენი და მინდორნი, ელვა—ჭექანი და ქარიშხალნი, იხატება მთელი ის ღრმა, სავსე აზრით და გრძნობით ხმა სამშობლო ბუნებისა, რომელიც ისე ხმა-მაღლა ლაღადებს კაცის სიყვარულში მის ხშირად სასტიკს სამშობლო ქვეყნისადმი, სამშობლო ჰანგებში, სიმღერებში, სახალხო პოეტების პირში. გარნა დედაენის კამკამა სიღრმეებში იხატება არა მარტო ბუნება სამშობლო ქვეყნისა, არამედ მთელი ისტორია ერის სულიერის ცხოვრებისა. თაობანი ერთი მეორის შემდეგ ჰქრებიან, მაგრამ ნაყოფნი მათის მოქმედებისა რჩებიან ენაში ჩამომავლობის საკუთრებად. დედა ენის სალაროში სტოვებენ თაობანი ერთი მეორის შემდეგ ნაყოფსა: გულის ღრმა მოძრაობისას, ისტორიულის მოქმედებისას, რწმუნებისას, აზრისას, სტოვებენ კვალთა განვლილის სიხარულისას და მწუხარებისას. ერთი სიტყვით, მთელს ნაშთსა და ნაყოფსა თავისის სულიერის ცხოვრებისას ხალხი იცავს და ინახავს დედა ენაში. დედა ენა არის უცხოველესი და უმტკიცესი კავშირი, რომელიც აერთებს წარსულთა, ცოცხალთა და მომავალთა თაობათა და ჰქმნის მათ ერთს დიდს, ისტორიულ ცოცხალ ორგანიზმად.

ვესსელი, აგრეთვე გამოჩენილი რუსთა პედაგოგი დედა ენის უსწავლელობას რაცხავს მეტად მავნებელს და დამამხობელს შეცდომად არამც თუ ცალკე პირისათვის, არამედ მთელი ხალხისათვის: «ხალხს რომ დედა ენა არ ასწავლოთ, ეს იქნება აღკრძალვა ხალხის აზრის გახსნისა, მისი სულიერი ნიჭიერების განვითარებისა, ეს იქნება ხალხის დატოვება ბავშვურს მდგომარეობაში და თუ ხალხს თავისი ენის მაგივრად სხვა ენის სწავლაზედ დავაყენებთ, თუნდაც ეს ახლო ნათესავიც იყოს მისი დედა ენისა, უფრო უარესს ვიზამთ: ჩვენ დავამახინჯებთ ბუნებითს, თავისებურს გონებითს გახსნასა, ჩვენ დავასახიჩრებთ მთელს მისს სულიერს ბუნებასა».

(«ივერია»).

## ორიოდე სიტყვა სოფლის მოხუცებული სამღვდელოების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ.

თუმცა სოფლის სამღვდელოებას მრევლისაგან დანიშნული აქვს ჯამაგირი, მაგრამ, საუბედუროდ, არც ერთი მღვდელი არ იღებს ამ ჯამაგირს მთლად თავის მრევლთაგან, რადგან ზოგიერთი სამრევლონი სიღარიბისა გამო ვერ იხდიან დაწესებულს დრამას. ყველამ იცის, რომ ყოველ სოფელში, თითქმის, ნახევარი და ხანმეტიც, ღარიბი და შეუძლებელი არის; ამ შეუძლებელთ ძალით თუ წაართმევთ რასმეს, მაშინ იტყვიან: «ოჰ! რა უღმერთო არის ეს ჩვენი მღვდელიო». თუ ნებაზედ მიუშვით, მაშინ იმათგან სრულიად ვერასფერს ვერ მიიღებთ და მღვდელი დარჩა უსაზრდოვოდ. მაგრამ, როგორც არის, საწყალი მღვდელი ატარებს ცხოვრებას. მან იმსახურა ოც-და-ხუთმეტი წელიწადი, მაგრამ ეხლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი გაუჭირდა სამსახური: დაბერდა, დასუსტდა, მხედველობა და სმენა მოაკლდა, რა ჰქნას საცოდავმა? თავი დაანებოს სამსახურს და პენსიას დაუნიშნავენ. რამდენს? ას ოც-და-ათ მანეთს. ესეც კარგი ფულია, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ მოხუცებულ მღვდელთ თითონ აღარაფრის გაკეთება აღარ შეუძლიანთ, მათ აღარ შეუძლიათ პურის გამოცხობა, შეშის ყიდვა და დაჭრა, ცეცხლის ანთება, საჭირო ჭურჭლების გარეცხა, ლოგინის დაფენა და ალაგება, სახლის გასუფთავება, დარეცხა, დაკერება და სხვ. და სხვ. და სხვ. ვინ უნდა გაუკეთოს ესენი საბრალო მოხუცებულთ? სანამ შეეძლოთ, თვითონ აკეთებდნენ, ან სხვას აკეთებინებდნენ და მცირედის შემოსავლიდან აკმაყოფილებდნენ თავიანთ თავსაც და სხვებსაც, მაგრამ ეხლა კი ცამეტ თუმანზედ მიდგა საქმე, ყოველი მათი საჭიროება უნდა გააკეთონ გარეშე პირთა და ისინი ხომ უსასყიდლოთ და უსმელ-უჭმელათ არ ემსახურებიან მღვდელს და მის მეუღლეს. ნათქვამია: თაფლში ვინც ხელს ჩაჰყოფს, პირველად თითონ გალოკავსო. მოხუცებულთა სახლი სხვის ხელში არის და ვისაც რა უნდა, იმას შვრება და თუ მოხუცებულებმა რამე გაუბედეს მათ, ისინი მაშინვე მიატოვებენ საბრალოებს და გასწევენ; ეხლა სხვები უნდა იშოვნონ, მაგრამ არც ისინი დააკლებენ ხელს. ან კი ვინ ემსახურება მათ მუქთად. ცამეტი თუმანი კი მრიელ ცოტა არის, რომ მოხუცებულებმა თავიც ირჩინონ და მოსამსახურეც იყოლიონ. მაშ როგორ უნდა გავაუმჯობესოთ მოხუცებული სამღვდელო პირის ნივთიერი მდგომარეობა? დღეს ყოველ სამღვდელო პირს ჯამაგირის თითო თუმნიდგან თითო აბაზს ურიცხამენ პენსიის ფულად. ურიგო არ იქნებოდა, რომ თუმანზედ ოროლი აბაზი გამოერიცხოთ მღვდლებს და პენსიაც გაადიდონ, ოც-და-ექვს თუმნად მაინც გახადონ. თუ პენსიის გადიდებისათვის დანიშნულს ვადასაც შეამოკლებენ და ოც-და-ათ წლიწადათ გახდიან, მაშინ უფრო კარგი იქმნება. პენსიის გადიდებაზე ხაზინიდგან არა დაიხარჯება რა, მხოლოდ მთავრობამ სთქვას და იქმნება, ბრძანოს და აღსრულდება *).

ვინმე.

*) ბევრში არ ვეთანხმებით პატივცემულს ავტორს. ოც-და-თხუთმეტი წლიწადი იმსახუროს მღვდელმა და ამ დროის განმავლობაში ცოტა რამ არ გადაარჩინოს შავი დღისათვის, სწორედ დასაჯერებელი არ არის. უწინდელს დროში მღვდლებს არ ეძლეოდათ არც ჯამაგირი და არც პენსია, მაგრამ მათ კარგათ უმსახურნიათ და უცხოვრიათ. დღეს კი შეიცვალა დრო! აღარაფერი არ ჰყოფნის კაცს: რამოდენი მეტი აქვს კაცს, იმოდენი კიდევ მეტი სურვილი ეღვიძება. ზომიერობა დაიკარგა ეხლანდელს დროში. დიდ ჯამაგირებსაც ვინ ჯერდება! ხაზინებს ამტვრევენ. დადგა დრო კუჭზედ ზრუნვისა და ეს არის! ორი კაპიკი კი არა, ექვსი კაპიკიც რომ გადავდვათ, ჩვენს პენსიას მაინც არ მოემატება. სხვა წოდებაშიაც ორ კაპეიკს იხდიან ჯამაგირიდგან, მაგრამ ორი ათას მანეთს პენსიას იღებენ... მოვითმინოთ და იქნება ჩვენსკენაც მოიხედონ. მაგრამ მარტო პენსიის იმედით ნუ დავდგებით. ვიშრომოთ და ნამეცნავისაგან ცოტა გადავანარჩუნოთ შავი დღისათვის.

რედაქტორი.

## წერილი რედაქტორთან.

მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემს შენიშვნას ადგილი მისცეთ თქვენს გაზეთ «მწყემსში».

ამ ორი წლის წინათ გახდა ავად შორაპნის მაზრის სოფლის მორგვის მცხოვრების აზნაურის დ. გ. სა—ძის ჩვიდმეტ—თვრამეტი წლის ვაჟი. საბრალო ყმაწვილი პირველად გახდა ავად ფილტვების ანთებით და, რადგან დროზე ექიმი ვერ მიაშველეს, ყმაწვილი ჩავარდა ლოგინში. ავად-მყოფს აუტყდა ძლიერი ხველა, სისხლის პირიდგან დენა. საბრალო ყმაწვილს ისეთი დამპალი და სუნიანი ნახველი ამოდიოდა ფილტვებიდგან, რომ კაცს მის ლოგინთან ჯდომა არ შეეძლო. ავად-მყოფს ბლომად ასმევდნენ სოფლის უბრალო ექიმების ტკბილს წამალს, მაგრამ ყმაწვილი თან-და-თან სუსტდებოდა. მთელი წელიწადი ლოგინში იწვა და მარტო ძვალი და კანი იყო. ბოლოს მშობლებმა ყმაწვილი აჩვენეს ნასწავლ ექიმებს, რომელთაც, შემდეგ ჩვეულებრივი რჩევისა, ერთ ხმათ გარდასწყვიტეს, რომ ყმაწვილის მორჩენა შეუძლებელია, რადგან ავად-მყოფს ფილტვები მთლად გაფუჭებული აქვსო. ავად-მყოფმაც გაიგო, რომ მისი მორჩენა შეუძლებელი იყო და ამიტომ მშობლებს სთხოვა, რომ რა საჭმელსაც კი მოინატრებდა იგი, ის საჭმელი მიეცათ მისთვის. ამ დროს ამ ავადმყოფის ერთმა ნათესავმა-გასათხოვარმა ქალმა ძილში შემდეგი ჩვენება ნახა: მასთან მივიდა ერთი უცნობი ქალი და უთხრა: ქალო! აი რამდენი ხანია ეგ შენი ნათესავი ყმაწვილი იტანჯება ავადმყოფობით. ხომ იცი, რომ ჭლექიანს ექიმები ვირის რძეს ასმევენ. შენ იშოვე ერთი ვირი, დაჰკალი იგი, გაატყავე და მთლად მოხარშე ძალიან. ხორცის ნახარში წვენი ჩაის სამი სტაქანი დაალევინე იმ ავად-მყოფ ყმაწვილს და იგი კარგად შეიქნება. როცა ამ ქალს გამოუღვიძნია, მაშინვე ავად-მყოფის მშობლებთან წასულა და მათთვის უთქვამს თავისი სიზმარი. შემდეგ ავად-მყოფის მამისათვის უთხოვნია ერთი ვირი. ავად-მყოფის მამამ სიხარულით აღუსრულა ქალს თხოვნა. ქალმა ვირი წაიყვანა თავის სახლში, დააკვლევინა ბიჭს, გაატყავებინა და შემდეგ ისე მოხარშა, როგორც სიზმარში ნახა. ხორცის ნახარშის სამი სტაქანი დრო გამოშვებით დაალევინა ავად-მყოფს. რამოდენიმე დღის შემდეგ ავად-მყოფი უკეთესად შეიქმნა; ხველებამ უკლო, ტანი დაუამდა და მალე ხორციც შეიბა. დღეს ეს ყმაწვილი თავის უწინდელს ფერზე და ლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეზე არის და ვერავინ იფიქრებს, თუ ის როდისმე ავად ყოფილა. ამ ამბის გამოქვეყნება აქამომდეც მინდოდა, მაგრამ ვფიქრობდი, ეგებ ცოტა დროით მობრუნდა ავად-მყოფი-თქო, მაგრამ აგერ ორი წელიწადი სრულდება დაყმაწვილი, თუ უმჯობესდება, თორემ ავად-მყოფობის მას არასფერი ეტყობა, თუმცა ექიმების დასკვნით იგი ამ ერთი წლის წინათ უნდა გამოსალმებოდა ამ წუთი სოფელს. ეს მოვლენა ძალიან გასაკვირია და, ჩემის აზრით, ურიგო არ იქმნება, რომ ნასწავლმა ექიმებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას. თუ კი ვირის რძე რგებს ჭლექიანებს, შეიძლება ამ ცხოველის ხორცის ნახარშიც სასარგებლო იყოს ჭლექიანებისათვის *).

ს. გ. ჩხეიძე.

---

## წერილი ბ. ა. ს. ბ—შვილის მიმართ!

პატივცემულო ლოტბარო ა. ს—ძევ! აგერ ათი წელი განმავლობს, რაც თქვენ ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის მგალობელთა გუნდს ლოტბარობთ. ამ დროის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მოისურვეთ ადგილობრივი, ე. ი. იმერული კილოს გალობა მოესმინა აქაურ მკვიდრთა. ამისთვის, როგორც გამიგია, შრომაც მიიღეთ და ნოტებზე დასწერეთ ადგილობრივი კილოს წირვის წესი, რომელიც ოთხხუთ გზის კიდევაც აგალობეთ გუნდს ქუთაისის საკრებულო ტაძარში; ხალხი ბლომად დაესწრო ყოველთვის, სიამოვნებითაც მოისმინა და თქვენც სიამოვნებით გიხსენიებდა. ამით გათავდა საქმე. ეს იყო სწორედ იმ ხანებში, როდესაც ბ. ქორიძეს ურიგდებოდა სამღვდელოება ქართული გალობის ნოტებზე გადაღებას. რამ გაიძულათ, ბ. ბ—შვილო, ამის შემდეგ, რომ იმერული კილოს გალობას წიხლი დაჰკარით და ერთი «უფალო შეგვიწყალენ» აღარ გვიგალობნიათ? იმისი გაკეთება ხომ არ გეწყინათ, რაც უთქვენოთ გაკეთდა? Თუ თქვენ ფიქრობდით ამ გალობათა დაწერას ნოტებზე, ეს სამღვდელოებას ფიქრათაც არ მოსვლია. იმიტომ, რომ ეს საქმე უთუოდ უფრო კარგს გამოცდილს და ყველასაგან ცნობილს ვისმე უნდა ეკისრა და კიდევაც მიანდვეს ბ. ქორიძეს, ყველასაგან ცნობილს და ამ საქმეში დახელოვნებულს. იქმნება თქვენ სთქვათ: მე ხომ ქართული გალობის ლოტბარი არა ვარ, რუსული გალობის „ხორი“ მაბარია, ვის რა ნება აქვს ვალდებული გამხადოს, რომ ამაზე ვიშრომო. კარგი და პატიოსანი, თუ გინდ ასეც იყოს, მაგრამ ქართლ—კახეთის კილოს გალობისთვის ხომ ღებულობთ შრომას, ამზადებთ გუნდს და ხშირადაც გალობთ? ნუ თუ იმერული კილოს გალობისთვის ვერ გადაანარჩუნეთ ცოტა ოდენი დრო, რომ ხან ეს გვეგალობნა და ხან ის? გარწმუნებთ, ბ. ბ—შვილო, რომ ჩვენ ქართლ—კახეთის კილოს გალობა და საზოგადოდ ქართული ხმების მოსმენა, სად და რომელი კუთხისაც უნდა იყოს იგი, დიდად გვასიამოვნებს, გვაამებს, დაგვატკბობს, გაგვახარებს. ჩვენი სისხლი და ხორცი ნუ თუ ჩვენს არსებობას არ ასულდგმულებს, არ ამხნევებს, სიცოცხლეს არ მატებს? იმერული გალობის მოსმენა ქუთაისში, ნამეტურ ამ ჟამად, ყველას ენატრება. ამის მიზეზი ის არის, რომ აქ ქართული მგალობლები, კარგი ხანია, რაც აღარ ჰგალობენ, რადგან ქართულ წირვაზედაც რუსულად გალობენ, ეს ხომ კარგათ იცით, ბ. ლოტბარო! ესეც რომ არ იყოს, იმერეთის სამღვდელოებამ რამოდენიმე ათასი მანეთი დახარჯა ადგილობრივი გალობის ნოტებზე გადაღებისთვის, ეს ნოტებზე დაწერილი გალობა აქვე დევს; რომ მიგეღოთ ცოტა ოდენი შრომა და ამ ნოტებით მოგემზადებიათ გუნდი, ნუ თუ ამის მოსმენა არ ესიამოვნებოდა საზოგადოებას, ანუ თქვენგან მართებული და რიგიანი არ იქმნებოდა ეს? შეიძლება კიდევ დაიჟინოთ და გვიბრძანოთ: ვინ რას გვაძლევს ამ შრომისთვისაო? მოგახსენებთ: აქ წინეთ ექვსი ქართული მგალობელი იყო, დღეს კი იმათგან მხოლოდ ორია, დანაშთენი ზოგი სიკვდილით განშორდა საწუთროს და ზოგიც დათხოვნილ იქმნა; იმათი ჯამაგირები (თითოეულის ას ასი მანეთი), რუსული გალობის «ხორს» და მათ «რეგენტს» მოემატა. ნუ თუ იმისთვის, რომ მიუცილებლად და მუდამ „ღოსპოდი პომილუი“ ჩასძახოთ ქართველებს ყურშიო! ქართლ—კახეთის კილოს რომ ჰგალობ ხანდახან, ისე იმერული კილოს გალობაც იგალობეთ და რასაც იმისთვის «გაძლევთ», ამისთვისაც ის მიიღეთ!

---

*) ურიგო არ იქნება, რომ ყურადღება მიაქციონ ამ წერილს ჩვენმა ნასწავლმა ექიმებმა.

რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატო დგახარ განზე, ხან ერთი მოგვესმენიე და ხან მეორე—. აღდგომის მეორე დღეს რომ წირვის წესი იგალობეთ ქართულად, საზოგადოებას ძალიან მოეწონა და ესიამოვნა, მაგრამ ზოგიერთებისგან რა გავიგონე, იცი? «ბ. ბ—შვილი ერთობ მოკლე პატრიოტი ყოფილაო! რაც ეს ლოტბარათ არის, თუ როდისმე ქართულად აგალობა გუნდი, უსათუოდ ისე უნდა აგალობოს, როგორც ქიზიყში გალობენო; ნუ თუ იმერული კილოს გალობა არ არის ნოტებზე დაწერილი, რომ ხანდისხან ისიც გამოურიოსო». ძმობას გეფიცები, ეს სიტყვები მეწყინა, მაგრამ რას არიგებდა, იმან მაინც თავისი სთქვა.

ამ დღეს ჩვენ ზოგიერთ საგალობელში შევნიშნეთ სხვა და სხვაობა და, თუ ნებას გვიბოძებთ, გვინდა აქვე გითხრათ ჩვენი შენიშვნა: «მრწამსი» რატომ შეგირევიათ! ჩვენმა სმენამ ასე შეიგნო, რომ «მრწამს»—ში ზოგი სიტყვები იმერულ კილოზე იყო ნაგალობევი და ზოგი ქართლ—კახეთის კილოზე; რატომ ერთ ერთს არ დაეფუძნეთ? ან მამაო ჩვენო რომ იგალობეთ, სადაური იყო? ან კიდევ «ანგელოსი ღაღადებს" და «განათლდი, განათლდი», რომელი ერის მოტივია? ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ჩემო ძმაო!!! შე მამა ცხონებულის შვილო, ჩვენ ის გვაწუხებს, რომ ერთხელ შექმნილი ჩვენთა წინაპართაგან და მუდამ დღემდის ხმარებული იკარგებაო, თორემ გლახათ შეუქმნიათ, გვიშველეთ ვინმემ, ისე გადააკეთეთ, რომ ძველი ფერი და ქართულის ნატამალიც აღარ ეტყობოდესო, ამას რომელი ჭკუათა მყოფი იტყვის. რამ შეგაძულათ ისე თქმა, როგორც ერთხელ შეუქმნიათ და დღემდის გალობენ საზოგადოთ! ერთხელვე შექმნილის უბრალოდ გადამახინჯება ყველასთვის საზიზღარია; გადაკეთება შეიძლება, მაგრამ თუ შემდეგ იგი დედანს სრულიად აღარ ჰგავს, ამას გადაკეთება კი არა გადამახინჯება ჰქვიან. «ზანიცადენის» მაგიერ, რომ «ქრისტე აღსდგა» იგალობეთ, სადაური იყო? ჩვენებური «ქრისტე აღსდგა», რომელსაც საქართველოს კუთხეში ერთ ნაირად გალობენ, რომ გეგალობნათ უფრო კარგი არ იქნებოდა? ჭი საკვირველებავ და კომპოსიტორებრივო მოღვაწეობავ! ასე წარმოვიდგინოთ: ნახევარი გუნდისა ამბობს «ქრისტე აღსდგა»—მეორე ნახევარი „სიკვდილისა" და სხვა. აი ასე სიტყვებს რამდენიმე ჯერ იმეორებენ, რომელიც ქართულ გალობას არ შეშვენის და არც არის შემოღებული პირველიდან. ამის ამ გვარათ გაკეთებას რამდენმე დღეს მოანდომებდით უთუოდ, რა კარგი იქნებოდა, რომ ამის მესამედი დრო მოგენდომებინათ თქვენგან მოძულებული ადგილობრივი კილო «ქრისტე აღსდგასთვის», რომელსაც გრძელ «ქრისტე აღსდგა»—ს ეძახიან! რომ ეს შენებურობა სანატრელი იყოს, ყოველ ნოტის მცოდნეს შეუძლია ქართული სიტყვები წირვის წესისა მოუწეროს რუსულ წირვის საგალობელთა და, შემდეგ, რომ აგალობოთ, ხმები რუსული იქნება, ხოლო სიტყვები-კი ქართული, მაგრამ ეს კი არაა სანატრელი, არამედ ის, რომ ქართული ნამდვილი ხმები არ დაიკარგოს და კარგს ნიადაგზე დადგეს..... ამას წინეთ «ივერიის» ერთს ნომერში იყო მოხსენებული, რომ «ამა და ამ ქართული გალობის მასწავლებელმა ქართული გალობის კილო შეარყია და სულ უცხო ხმაზე გალობსო». ამის პასუხათ აი რა დასწერა ამ მგალობელმა: კარბელაანთ გალობის კილო ამგვარია, რომ «უფალო შეგვიწყალენ» სხვა და სხვა ნაირად იგალობებაო და შენიშვნის ავტორს ეს არ სცოდნიაო. არა ჩემო ბატონო! ქართული გალობა და საზოგადოთ ქართული ხმები, რაც სხვა და სხვა ნაირად იგალობო, ათას გვარათაც გადაატრიალო—გადმოატრიალო, მაინც ქართველის ყურს თავის დღეში არ ეხამუშება, გული მაინც თავისას თავისათ იცნობს. მაგრამ ამასაც მოგახსენებთ: ეს ხმის ტრიალი, ერთხელვე კილოზე გაკეთებულ გალობას არ უნდა დასცილდეს, ხმის მიხრა-მოხრა მხოლოდ სიშნოსთვის უნდა იხმარო და არა პირველი ხასიათის მოკლებისთვის. ეს შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც კარგათ არის ქართულ ხმებში გავითარებული და დახელოვნებული.

ძალიან კარგს ინებებენ ყველანი, რომ ვისაც ზედ მიწევნით არა აქვს საზოგადოთ ქართული საეკლესიო და საერო ხმები შესწავლილი, თავს დაანებებდენ გალობის შეკეთებ—შამოკეთებას. ვინც სინამდვილით შეასრულებს ქართულ გალობას, იმას არ დააკლდება გემო, ყოველთვის შეუძლია დაატკბოს ქართველთა სმენა.

**ქართული ხმების მოყვარე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბები და შენიშვნები.

---

ყველამ უწყის, რომ ჩვენს სამღვდელოებას დავალებული აქვს სამრევლო სკოლების გახსნა ეკკლესიებთან. მაგრამ ამ კეთილს საქმეში სამღვდელოებას წინ ეღობებოდა სახალხო სკოლების დირექტორები, რომელნიც ბრძანებდნენ: «საერო სკოლიდამ ექვსი—რვა ვერსის მანძილზე არავის არა აქვს უფლება სამრევლო სკოლის გახსნისა». და ეს თავისი განკარგულება ზოგიერთ ადგილას კიდეც მოჰყავდათ დირექტორებს სისრულეში. ჩვენ ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავით ამგვარი განკარგულებისა და ჩვენს გამოცემაში არა ერთხელ გამოგვითქვამს ის აზრი, რომ საერო სკოლების დირექტორების ამგვარი განკარგულება უკანონო იყო. ამისთანა სტატიებისათვის ჩვენ მრავალი უსიამოვნება შეგვხდა, მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ, უწმიდესმა სინოდმა მიაქცია ჯეროვანი ყურადღება ამ საგანს და დაადგინა, რომ ყოველ ეკკლესიასთან შეუძლია საეკკლესიო კრებულს სამრევლო სკოლის გახსნა, თუ გინდ ამ სოფელში უკვე არსებობდეს სახალხო სკოლა.

*
* *

ხშირად გვინახავს შემდეგი სურათი: მიცვალებული ასვენია კუბოში და ნათესავები დასტირიან თავზედ. მოდის ვინმე გამოჭიმული იმერელი და იწყებს: «ვინ ხარ, კაკო შენ? იიმე, რავა გაწოლილ ხარ კაცო, რა დროს ძილია? შენ რომ არ იცოდი ეგრე ჩემი შეკებება! მითხრეს, რომ №... მოჰკვდაო! შენც არ გაგიწყრეს ღმერთი, მე ეს არ დავიჯერო! ვინ მოისულელა ეს ამბავი. მე ამას არასოდეს არ დავიჯერებ!» და სხვ... სწორედ ამ მოტირალ იმერელს მოგვაგონებს ჩვენ გაზეთ «ივერიის» მე-№ 132-ის მეთაური წერილის ავტორი Z.

*
* *

მთელს ქუთაისში მარტო ერთი თვალის ექიმი იყო და ისიც ამას წინეთ დაბა სურამში იქმნა გარდაყვანილი. ამიტომ ავადმყოფნი იძულებულნი იყვნენ წასულიყვნენ ან სურამში და ან თბილისში საექიმოდ. დღეს ბ. ს. მ. თოფურიას კერძო სამკურნალოში უკვე მოვიდა თვალის ექიმი, რომელიც ბ. თოფურიას ჰყავდა გამოწერილი მოსკოვიდამ.

*
* *

ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ბ. ა. ს. ხანაშვილს განუზრახავს საქართველოს გამოჩენილი ტაძრების და მონასტრების ზოგიერთი გუჯრების დაბეჭდვა და ცალკე წიგნად გამოცემა.

*
* *

დაბა ყვირილაში, როგორც ამბობენ, მომავალი წლიდამ დაარსდება სამაზრო ხაზინა. დღემდისაც საჭირო იყო ხაზინის დაარსება შორაპნის მაზრაში. ამის შემდეგ შორაპნის მაზრის მკვიდრნი განთავისუფლდებიან უბრალო ხარჯისაგან. ხშირად ხაზინაში წარსადგენ ფულზედ ერთი ორად მეტი ეხარჯებოდათ მათ გზაში.

*
* *

დაბა ყვირილაში ნატარიუსად თბილისის სამოსამართლო პალატას დაუმტკიცებია ბ. ა. წულუკიძე. ამ ადგილის მაძებარნი მრავალნი იყვნენ, მაგრამ გამოცდის დროს მარტო ექვსი კაცი გამოცხადდა. ამათში ორი უნცროსი ნატარიუსი იყო. გამოცდის შემდეგ ქუთაისის ოლქის სამსაჯულომ ღირსეულად დაინახა ბ. ა. წულუკიძე, და ერთი უნცროსი ნატარიუსი, რომელნიც კიდეც იქმნენ წარდგენილნი თბილისის სამსაჯულო პალატაში დასამტკიცებლად. ბ. წულუკიძე შემდეგ თბილისის ალექსანდროვის ინსტიტუტში სწავლის დამთავრებისა განწესებულ იქმნა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში არითმეტიკის მასწავლებლად. აქ მან მალე დაიმსახურა როგორც თავის

ამხანაგების სიყვარული, ისე მოსწავლეებისა. შემდეგ ბ. წულუკიძე განწესებულ იქმნა რაჭის მაზრის სამსაჯულოს ბოქაულად. აგერ წელიწად-ნახევარის იქმნება, რაც ბ. წულუკიძე დაინიშნა ქუთაისის ოლქის სამსაჯულოს მდივნის ამხანაგად; ამ თანამდებობაზე იგი დარჩა წელიწად ნახევარი. ბოლოს ხსენებული სამსაჯულოს თავმჯდომარის განკარგულებით ბ. წულუკიძე განწესებულ იქმნა ქუთაისის მაზრის სამსაჯულოს ბოქაულად, ხოლო დღეს ყვირილაში იქმნა დანიშნული ნატარიუსად. სწორედ დღეს შეუძლიათ შორაპნელებმა სთქვან, რომ მათ ნატარიუსი ჰყავთ. მართალია, ყვირილაში ნატარიუსად იყო — ბ. გარსევანოვი, მაგრამ მას ძნელად ნახავდა კაცი საჭიროების დროს; გარდა ამისა იგი არ იღებდა შესასრულებლად ძნელ საქმეებს, რაისა გამო ბევრნი ქუთაისში მიდიოდენ და იქ ასრულებდენ საჭირო ქაღალდებს და ამით ბევრნი უბრალო ხარჯში ვარდებოდენ. დღეიდგან, იმედია, ქუთაისში წასვლა აღარავის დასჭირდება სხვა-და-სხვა პირობათა და ნასყიდობათა შესასრულებლად.

## სიბრძნე ისო ძისა ზირაქისა.

(დასასრული *).

გიყვარდეს მეგობარი და ერწმუნე მას. ვინც საიდუმლოს გამხელს, იგი კარგავს რწმუნებას და ვერ იპოვის თავის შესაფერს მეგობარს. თუ შენ გაამჟღავნე შენი მეგობრის საიდუმლო, მერე ნუღარ ემეგობრები მას.

ილაპარაკე უმთავრესი, ბევრი ცოტა სიტყვებით. იყავ როგორც მცოდნე და მასთან თავდაჭერილი. მოუფიქრებლად ნურას გააკეთებ, და როცა კი გააკეთებ, ნუ ინანებ.

უკეთესია ამხილო, ვინემ ფარულად უჯავრდებოდე. რომლესაც ვინმეს ცალკე ამხილებ, ის მოერიდება ვნებას.

*) იხ. «მწყემსი»-ს № 11.

უცხოელ კაცს ნუ შეიყვან შენს სახლში, ვინაიდგან ზოგს ბევრი ბოროტი აქვს გულში. გარდაცვალებამდის ნურავის ნუ უწოდებ ნეტარად: კაცი იცნობის თავის საქმეებისაგან.

უძლიერესი ნაკლი კაცისა არის სიცრუე; უკეთესია ქურდი, ვინემ მუდამ სიცრუის მოლაპარაკე; მაგრამ ორივენი მიიღებენ სასჯელს. ცრუ კაცის ყოფა-ქცევა უპატიოსნოა და მას თან სდევნის სირცხვილი.

ნუ ეჭვიანობ შენს მეუღლეს და ნუ აძლევ მას ცუდს მაგალითს შენს წინააღმდეგ. ნუ განაგდებ ჭკვიანს და გონიერს ცოლს, ვინაიდგან მისი ღირსება უძვირფასესია ოქროზე.

ცოლის სიყვარული დაატკბობს მის ქმარს, და ცოლის კეთილ-გონიერება გაასუქებს ქმრის მძვლებს. უდიდესია მადლი, როცა კაცს ჰყავს ცოლი მოსირცხვილე. თავმდაბალი ქალი არის უფლის მადლი, რომლის ფასი არ მოიპოვება.

ბედნიერია კეთილი ქალის ქმარი და ორკეცია რიცხვი დღეთა მისთა. კეთილ მომქმედი ქალი ახარებს თავის ქმარს და წელთა მისთა აღავსებს სიხარულით. კეთილი ქალი არის ბედნიერი ხვედრი; იგი წილ-ხვდება მარტო ღვთის მოშიშთა. ამისთანა ქალის ქმარის გული ყოველთვის კმაყოფილია და მისი პირის სახე ყოველ დროს მხიარული.

როგორც მზე ანათებს აღმოსვლის დროს მაღალ ადგილებს, ისე კეთილი ქალის სიმშვენიერე ამშვენებს მის სახლს. როგორც სანთელი ანათებს სასანთლესა ზედა წმიდისა, ისე ანათებს ქალის პირის სილამაზე ასაკსა ზედა მყუდროებით.

ქალის სიმშვენიერე ახარებს პირის სახეს და ყველაზე უფრო უკეთესია ქმრისათვის. თუ ამავე დროს ასეთ ქალს აქვს კარგი შეხედულება და თავმდაბლობა, მაშინ მისი ქმარი მაღლა სდგას ყველა კაცზე.

ვინც შეიძენს ცოლს, იწყებს საუნჯის შეკრებას, იძენს თავისათვის თანაშემწეს, მოსვენების საფუძველს. სადაც არ არის ზღუდე შემოვლებული, იქ გაიბნევა ქონება; ვისაც არა ჰყავს ცოლი, იგი დაემსგავსება უბრალოდ მოთრიალე კაცს.

დიდი რისხვაა ქმრისათვის მემთვრალე ცოლი, ვინაიდგან იგი ვერ დაფარავს თავის სიცუდეს. მეძავობა დედა კაცისა წამწამებითა თვალისათა, და წამწამითა მისითა იცნობების. უკეთესია იცხოვრო ლომთან და ასპიდთან, ვინემ ბოროტ ქალთან.

ნუ მიეგებები ბოროტ ქალს, რომ მისმა სიმშვენიერემ არ შეგაცდინოს შენ. ნუ მიენდობი მეძავ დედაკაცთა, რომ შენი ქონება არ განაბნიოს. მოარიდე შენი თვალი კეთილ სახიერ ქალისაგან და ნუ შესცქერი სხვის სილამაზეს: ბევრი გააფუჭა ქალის სიმშვენიერემ; მისგან, როგორც ცეცხლისაგან, აღინთება სიყვარული.

ნურასოდეს ნუ დაჯდები გათხოვილ ქალთან, რომ არ შეგიყვარდეს იგი და ამით არ დაიღუპოს სული შენი.

ნუ დაჯდები ქალთა შორის, ვინაიდგან როგორც სამოსელთაგან გამოვალს მღილი, ისე ქალთაგან—ბოროტება ქალისა.

ვითარცა აღვსლა ქვიშასაზედა ფეხითა მოხუცებულისათა, ეგრე დედა-კაცი ენოანი ქმრისა მდუმარისა. გული მდაბალი, და პირი მჭმუნვარე და წყლულება გულისა დედა-კაცი ბოროტი.

ვინც ისვრის ქვას ზემოთ, ის ესვრის თავის თავს; ვინც სხვას უთხრის ორმოს, იგი თვითონ ჩავარდება მასში; ვინც სხვას უგებს მახეს, თვითონ იგი გაებმის მასში; ვინც შვრება ბოროტს, ბოროტი მასვე მიენიჭება და იგი ვერ გაიგებს, თუ საიდგან ეწია მას ბოროტი.

რომელმან ჰყოს წყალობა, იგი აავსხებს მოყვასსა; ვინც ეწევა მოყვასს, იგი იცავს მცნებათა.

მწუხარების დროს საჭირო მოწყალება მსგავსია წვიმისა გვალვის დროს.

მიეცი სესხად მოყვასს საჭიროების დროს და შენც თვითონ თავის დროზე დაუბრუნე სხვას წაღებული. შენ სიტყვას ნუ უმტყუნებ და შენ ყოველ დროს იშოვი, რაც კი შენთვის საჭირო იქმნება.

დახარჯე ვერცხლი ძმისა და მეგობრისათვის და ნუ დააჟანგებ მას ქვის ქვეშ; შენი საუნჯე მოიხმარე მცნებისა მებრ, და იგი უფრო ბევრ სარგებლობას მოგცემს შენ.

პური გაჭირვებულთა არის ცხოვრება ღარიბთათვის; ვინც მას მოიტაცებს, იგი არის სისხლის მსმელი. ვინც სტაცებს მოყვასს სარჩოს, იგი ჰკლავს მასს; ვინც მოსამსახურეს უკლებს ქირას, იგი ღვრის სისხლს.

ყოველ ცხოველს უყვარს თავისი მსგავსი, და ყოველ კაცს უნდა უყვარდეს თავის მოყვასი.

ნუ გიხარია კაცის სიკვდილი, თუ გინდ იგი შენი საშინელი მტერი იყოს. გახსოვდეს, რომ ჩვენ ყველანი მოვკვდებით.

ყოველივე შეურაცხებისათვის ნუ გაუჯავრდები მოყვასს და ნურაფის ნუ შეურაცხებ საქმით. ამპარტავნება საზარელია როგორც უფლისათვის, ისე კაცთათვის.

ბევრს ნუ მედიდურობ, თუ გინდა შენი საქმე გააკეთო; თავს ნუ იქებ ძვირფასი ტანთსაცმელით და ნუ ამაღლდები დიდების დღეს, ვინაიდგან მრავალნი უფლებათა მქონენი ისხდენ მიწაზე, მრავალნი ძლიერნი ეწიენ დიდს უპატიურებას, მრავალნი დიდებულნი ჩაუვარდნენ ხელში სხვაებს; ხოლო იგი, რომელზედაც არ ფიქრობდნენ, ღირსი გახდა გვირგვინისა.

მაძღრობის დროს გახსოვდეს სიმშილი; მდიდრობის დროს მოიგონე სიღარიბე და გაჭირვება.

არასფერი სიმდიდრე არ შეედრება ჯანმრთელობას, არავითარი სიხარული არ შეედრება გულის სიხარულს. ჯანმრთელობა და სხეულის კეთილ-მდგომარეობა უძვირფასესია ყოველივე ოქროზე და მაგარი სხეული უკეთესია ურიცხვ სიმდიდრეზე.

უკეთესია ღარიბი, ჯანმრთელი და ძლიერი ღონითა, ვინემ მდიდარი დაუძლურებული ტანით.

გიყვარდეს შენი სული, ანუგეშე გული შენი და განაგდე შენგან მწუხარება; ვინაიდგან მწუხარებამ მრავალი მოჰკლა, და სარგებლობა კი მისგან არავითარი არ არის.

ეჭვიანობა და გაჯავრება ამოკლებენ დღეს, ხოლო შრომა უდროვოდ აბერებს კაცსა.

სიმდიდრის თვალყურის გდება ღალავს სხეულს; ხოლო ზრუნვა მასზე აფრთხობს ძილს. ზრუნვა არ გაძლევს მოსვენებას, ხოლო მძიმე ავად-მყოფობა გაკარგავს ძილს.

მცირესა ზედა კმაყოფილ იყავ. უკეთესია ღარიბის ცხოვრება მის ღარიბს ქოხში, ვინემ მდიდრული დროს-ტარება სხვის სახლებში.

მოსვენებული ძილი იქმნების, როცა კუჭი ზომიერადა გაქვს. ნუ სჭამ პირველად ზრდილობისათვის და ნურც ძალიან გაუმაძღრად სჭამ, რომ ამით სხვანი არ შეაცთინო.

სიცოცხლის დღეს აქვს დასასრული, ხოლო კეთილი სახელი საუკუნოდ რჩება. იზრუნე მოიპოვო კეთილი სახელი, ვინაიდგან იგი უფრო დიდხანს დარჩება შენთან, ვინემ მრავალი ათასი ოქრო.

ნუ ცდილობ ბევრი ღვინის დალევას, ვინაიდგან ღვინომ მრავალი დაღუპა.

ღვინო არის გაჩენილი კაცთა სამხიარულებლად, იგი სასარგებლოა კაცისათვის, თუმცა მას ზომიერად და თავის დროზედ იხმარ.

ღვინო არის მწუხარება სულისათვის, როცა მას ბლომად სმენ; მეტის-მეტი ღვინის სმა აძლიერებს უგუნური კაცის სიბრაზეს და აგდებს მას შეცდომაში.

ღვინო და მუსიკა ამხიარულებენ გულს, მაგრამ ორივეზე კარგი არის სიყვარული სიბრძნისა.

დუდუკი და წინწილა აუკეთესებენ გალობას, მაგრამ მათზე უკეთესია სასიამოვნო ენა.

ყოველი საქმის დასაწყისი არის მოფიქრება, ხოლო მოქმედების წინად საჭიროა რჩევა.

ყოველი მრჩეველი აქებს თავის რჩევას, მაგრამ ზოგი თავის სასარგებლოდ გირჩევს. მრჩევლისაგან დაიფარე შენი სული და წინა პირველად გაიგე, თუ რა სურს მასს; ვინაიდგან, შეიძლება, იგი თავის-თავისათვის გირჩევდეს.



რჩევას ნუ იქმ იმისთანა კაცთან, რომელსაც შენთვის კეთილი არა სურს და შენ მოშურნეთაგან დამალე შენი განზრახვანი.

დაენდე შენი გულის რჩევას; ვინაიდგან შენ გულზე უფრო საიმედო შენ არავინა გყავს. კაცის სული ხშირად უფრო ბევრს იტყვის, ვინემ შვიდი ყურის მგდებელი, მჯდომარენი უმაღლეს ადგილთა ზედა ყურის საგდებლად.

ყოველივე სიტყვას ნუ ერწმუნები.

ვიდრემდის შენ ცოცხალი ხარ, ვიდრემდის შენში არის სულთქმა, მანომდე შენს მოვალეობას სხვას ნუ გადასცემ; უმჯობესია, რომ შვილები გთხოვდენ შენ, ვინემ შენ თვითონ შეჰყურებდე შვილებს ხელში.

უდროვო დროს მუსაიფი იგივეა, როგორიც მუსიკა მწუხარების დროს; სიბრძნის სწავლა კი ყოველ დროს შეიძლება.

ზოგი მდუმარებს, რადგან არასფერი აქვს სათქმელი; ხოლო ზოგი მდუმარებს, იმიტომ რომ იცის დრო, როცა უნდა ილაპარაკოს.

## რედაქციის პასუხი.

**თ. ზ. ცომაიას.** დიდის სიამოვნებით დავბეჭდავდით თქვენს წერილს, რომ მისი დაბეჭდვა მოეხმარებოდეს რასმე მოხუცებულს მღვ. მ. მც—ლს.

**მღ. ს. ხუნ—ძეს.** დიდი ხანია, რაც დავალებული აქვსთ მღვდლებს ეკკლესიებთან სამრევლო სკოლის გახსნა. რიგია, რომ თქვენ უჩვენოთ მაგალითი სხვა მღვდლებს ამ საქმეში. როდესაც სამსახურს ირჩევდით, ვგონებთ, თქვენც პირადი სარგებლობა გქონდათ სახეში.....

**ლ. წ—ძეს.** მადლობა ღმერთს, სხვა გაზეთებიც არიან. გაგზავნეთ თქვენი პასუხი სხვა გაზეთში და იქ დააბეჭდვინეთ. ჩვენის აზრით, თქვენი პასუხი ჯერეთ წინეთ იყო დაგვიანებული და დღეს ხომ სულ მეტია!.. წერილი გადავეცით თქვენგან დასახელებულ პირს.

**მღვ. ნ. მაღ—ძეს.** მესამე წელიწადი მიდის მას აქეთ, რაც თქვენი სტატია გამოგზავნილია და ამიტომ ძნელი სანახავია იგი ეხლა.

**შოთას მეზობელს.** თქვენი წერილი არ იბეჭდება. იერუსალიმი პირველი ქალაქი იყო, მაგრამ დღეს მას უკანასკნელი ადგილი უჭირავს...

უმაღლესად დამტკიცებული „რუსეთის საზოგადოება» თანხის და შემოსავლის დაზღვევისა, დაარსებული 1835 წელს.

## საზოგადოება უზღავს

1., თანხას შვილებისათვის, ანუ სხვა მემკვიდრეებისათვის, ვინიცობაა დამზღვევი გარდაიცვალა.

2., თანხას, რომელიც შეუძლიან თვითონ დამზღვეველმა მიიღოს, როცა მოხუცდება.

3., თანხას, რომელიც მიეცემა დამზღვეველს აღნიშნულ ხნის შემდეგ, როცა თვითონ დასჭირდება შვილების დასაბინავებლად, ანუ ქალებისათვის სამზითვოდ.

4., პენსიას სიკვდილამდის, სამკვიდროს და სხვა...

უმთავრესი აგენტი და ინსპექტორი კავკასიაში ნ. გრუზენბერგი. ფოსტის და დეპეშის ადრესი: Грузенбергу Тифлисъ.

(10—4)

## კერძო სამკურნალო ს. ბ. თოფურიასი მომსვლელთა ავათმყოფთათვის და მუდმივ საწოლებით.

ავადმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის ცხრა საათიდამ სამ საათამდის: **შინაგანი ავათმყოფთათვის** მიიღებს ს. ბ. თ ო ფ უ რ ი ა. **ხირურგიულისა და ვენერიულისათვის**—ლ. ა. ბ ა ც ს ე ე ვ ი. **სხეების და ქალის ავადმყოფობისათვის**—ექიმი-ქალი მ. ფ. კ ა ლ ა ნ ი. **ელექტრონით ექიმობას** იკისრებს კვირაში სამჯერ (კვირაობით, სამშაბათობით დ ხუთშაბათობით) **ნაშუადღევის ხუთ საათიდამ შვიდ საათამდის ქუთაისის** სამხედრო საავადმყოფოს უფროსი ექიმი, საექიმო მეცნიერების დოქტორი კ ე ი ხ ე ლ ი.

**სამკურნალოსთან** არის გამართული კაბინეთი ავათმყოფთა დასაზელად (მასაჟისათვის) **ექიმების ხელმძღვანელობით** და კაბინეთი შარდისა და ნახველის გამოსაკვლევად.

ფასი ექიმობისა თითოეულ ნახვაზედ ათი შაურია. კონსილიუმი (რჩევა), რომელიც შესდგება სამკურნალოს ყველა ექიმებისაგან, ეღირება 3 მანეთი. შარდის თვისებათა გამოკვლევა—ერთი მანეთი; შარდის გამოკვლევა რაოდენობის მხრით—სამი მანეთი; მიკროსკოპით გამოკვლევა ნახველისა—ორი მანეთი; დაზელვისა (მასაჟის), ელექტრონით ექიმობისა და აგრეთვე საავადმყოფოში დაწოლისა და მოვლის ფასი—გარიგებით.

მომსვლელ ავადმყოფებს მიიღებენ ბალახვანის ქუჩაზედ, სტეფანოვის სახლში. მუდმივი ქვეშაგებიან-საწოლიანი სამკურნალო იმყოფება ბოკერიას სახლში, ქუთაისის ბულვარის პირ-და-პირ.

**სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.**

**შინაარსი:** განჩინებანი უწმიდესი სინოდისა.—საეროჟურნალ-გაზეთების მსჯელობა სამღვდელოების ჯამაგირების და მათი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ.—ძირითადი უკუღმართობა.—ორიოდე სიტყვა სოფლის მოხუცებულ სამღვდელოების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე.—წერილები რედაქციის მიმართ.—წერილი ბ. ა. ბ—შვილის მიმართ.—ახალი ამბები და შენიშვნები. სიბრძნე ისო ძისა ზირაქისა.—რედაქციის პასუხი.—განცხადება.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, Іюня 29 1890 г.*
Типографія редакціи (П.Д. Гамбашидзе) Въ помѣщ. Кутаисѣ, въ домѣ бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.

1890 წელსა, № 13 15 ივლისს.

# მწყემსი

1883-1890

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

| «მ წ ყ ე მ ს ი» | | «მწყემსი» რუსული გამოცემით | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 5 მან. | 12 თვით . . . | 6 მან. |
| 6 — . . . | 3 — | 6 — . . . | 4 — |

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება ამადრესით: въ *Кеириля, Въ контору редакціи „Мцкемси“ (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## თელავის სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებ-ლის სამმართველოსაგან.

თელავის სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის სამმართველო ამათ აუწყებს ხსენებული სასწავლებლის მოწაფეთა მშობლებს და ნათესავებს, რომ განმეორებითი ეგზამენები დანიშნულია სასწავლებელში 25 აგვისტოდამ ამა წლისა, ხოლო მისაღები ეკზამენები — 31 აგვისტოდამ 1 სეკტემბრამდე.

(2—2).

## შემცდარი დასკვნა.

დაიწყეს ხელახლად წერა სამღვდელოებისათვის ჯამაგირების დანიშვნაზე. ჩვენი მართლ-მადიდებელი სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ ბევრსა სწერენ დღეს საერო ჟურნალ-გაზეთებში სომხები, ებრაელნი და ხან-დის-ხან თათრებიც! მადლობა შენთვის, ღმერთო! რაღა გვიშავს, როცა ასეთი მზრუნველები გვყავანან! სწორედ გასაოცარია საზოგადოების აზრის სხვა-და-სხვაობა ერთსა და იმავე საგანზე. აი ფაქტებიც ჩვენი სიტყვების დასამტკიცებლად:

1825 წლიდგან აღიძრა კითხვა, რომ სასულიერო სემინარიაში მოწაფეთათვის ესწავლებიათ ბალოსნობა და პირველ დაწყებითი საექიმო სწავლა. გაზეთებმა ერთხმად აღიარეს და დაამკიცეს, თუ რა დიდ სარგებლობას მოუტანდა ბალოსნობის და საექიმო ნაწილის შესწავლა ჩვენს ახალგაზრდობას. ამ საგნების სწავლება კიდეც იწყეს ჩვენს სემინარიებში. დადგა 1860 წელიწადი. დაიწყეს წერა, რომ ექიმობის და ბალოსნობის სწავლება სემინარიელებს ხასიათს უფუჭებს და მათთვის ეგ საგნები სრულებით უსარგებლო და მავნებელიაო. ამ აზრს დაეთანხმა საზოგადოებაც და მოითხოვა ხსენებული საგნების სემინარიის პროგრამმიდამ გამორიცხვა.

ბევრი წერეს და ბოლოს დაამტკიცეს, რომ თუ ლათინური და ბერძნული ენების სწავლებას შემოვიღებთ ჩვენს სასწავლებლებში, ყოველივე უბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დურებას ავიცდენთ თავიდგანო. ითქვა და ვათავდა. შეამცირეს გაკვეთილები სამშობლო ენისა და სხვა ზოგიერთი სასარგებლო საგნებისა და მათ ნაცვლად გააძლიერეს ლათინურის და ბერძნულის სწავლება. ერთსა და იგივე კლასში დღეში ხშირად ბერძნულიდგან ორ-ორი გაკვეთილი იყო ხოლმე! ბოლოს იწყეს ბაასი და დაამტკიცეს, რომ აუცილებლად ჩვენს სასწავლებლებში უნდა შემოვიღოთ ამ ენების სწავლება, თუ გვსურს, რომ ჩვენმა სემინარიელმა მღვდლებმა ჭეშმარიტად შეასრულონ თავიანთი დიდი მოვალეობაო. შემოიღეს ამ ენების სწავლება. განვლო აგერ ოც-და-ხუთმა წელმა მას აქეთ, რაც ამ ენებს ასწავლიან ჩვენს სასწავლებლებში, მაგრამ დღემდის ვერ ვხედავთ იმ კეთილ—დღეობას და ბედნიერ ცხოვრებას, რომელთაც ამ ენების შესწავლისაგან მოველოდით. ამ ბოლოს დროს იწყეს წერა და ბაასი რომ ამ ენების სწავლება ან სრულიად მოსპონ ჩვენს სასწავლებლებში და ან შესამჩნევად შეამოკლონ მათი გაკვეთილები და მათ ნაცვლად გააძლიერონ სამშობლო ენის და სხვა სასარგებლო საგნების სწავლება. ესეც აღსრულდა. მოსპობით, მართალია, არ მოუსპიათ ამ ენების სწავლება, მაგრამ მათი გაკვეთილები შესამჩნევად შეამცირეს.

რად გვემართება ასეთი შეცდომა ერთსა და იმავე საქმეში? იმიტომ რომ ჯერეთ კიდევ ვერ მივმხვდარვართ, თუ რაში მდგომარეობს ჩვენი ახალი თაობის ჭეშმარიტი და ჯეროვანი აღზრდა. ჯერეთ კიდევ კარგად ვერ ვამჩნევთ რომელიმე საგნის კარგს და ცუდს მხარეს. სხვისი აზრით დავდივართ და ამიტომ მოგვდის, რომ რაც დიდის შრომით და ღვაწლით ავგვიშენებია ოც წელიწადში და სასარგებლოდ მიგვიღია, შემდეგ მას უარსა ვჰყოფთ. რამდენ ბიჯსაც წავდგამთ წინ, იმოდენი ბიჯით უკანვე ვბრუნდებით. მართალია, გამოცდილება ძალიან სასარგებლოა, მაგრამ ხშირად ეს გამოცდილება ძლიერ ძვირად გვიჯდება. ამიტომ რიგია დავფიქრდეთ, როცა რაიმე ცვლილების შემოღებას ვაპირებთ, ჩვენის გონებით და აზრით ვიმოქმედოთ და სხვის სიტყვებს და რჩევას ბრმათ ნუ მივენდობით.

სწორედ ამ გვარ შეცდომილ აზრს ვხედავთ საერო ჟურნალ—გაზეთებში სამღვდელოებისათვის ჯამაგირების დანიშვნის შესახებაც. «მწყემსი»-ს მე-12 №-ში ჩვენ რამოდენიმე სიტყვა ვსთქვით სამღვდელოებისათვის ჯამაგირების დანიშვნის შესახებ. ზოგიერთ მღვდლებს არ მოსწონებიათ ჩვენი აზრი. იგინი ამბობენ თურმე: «მართებლობას ყოველთვის შეუძლია თვითოეულს მღვდელს სამოც—სამოცი თუმანი დაუნიშნოს. მართებლობამ მხოლოდ ბრძანოს, და ხაზინაში საჭირო ფულები ყოველთვის მოინახებაო». სწორედ ასე სჯიან ხოლმე ზოგიერთი გლეხებიც: «ბატონო, ოღონდ ხელმწიფემ ბრძანოს, თორემ ათი ათასი მილლიონ ფულს მოაჭრევინებს ერთ დღესო; რა საძნელო საქმეა ეს». რაც უნდა ელაპარაკოთ ამ კაცებს, მათ მაინც ვერ დაარწმუნებთ, რომ სახელმწიფოს ვალი აქვს და დიდ სარგებელსაც იხდის.

ღმერთმა ინებოს, რომ თვითოეულს მღვდელს ექვსას-ექვსასი მანეთი დანიშვნოდეს ჯამაგირად. ეს ჩვენთვის სასიამოვნო იქმნება, მაგრამ ის კი არა გვრწამს, რომ ჯამაგირების დანიშვნამ სარწმუნოება და ზნეობა აღამაღლოს ჩვენს ხალხში და ჩვენც, სამღვდელოებას, კეთილ—დღეობა მოგვანიჭოს! როგორც რუსეთში, ისე ჩვენს საქართველოში, განსაკუთრებით ქართლ-კახეთის ეპარქიაში იშვიათად შეხვდებით ისეთ მღვდელს, რომელიც ათას მანეთზე ნაკლებს იღებდეს სამრევლოში და ხომ დაიღუპნენ ასეთი მღვდლები, თუ იგინი ათასი მანეთიდგან ექვსას მანეთზე ჩამოიყვანეს და ყოველივე საჩუქრის აღება მოუსპეს!

ზოგიერთები ამბობენ: «დრამის აღება სამღვდელოებას ამცირებს ხალხის თვალშიო. ჯამაგირების დანიშვნა კი სამღვდელოებას აღამაღლებს სამრევლოს თვალში». ჩვენ წინააღმდეგი ვართ ამ აზრისა. ჯამაგირების დანიშვნა ჩვენს სამღვდელოებას გავლენას ვერ შესძენს ხალხის თვალში. ამის დასამტკიცებლად ავიღოთ, თუ გინდ, ურიების რაბინები, თათრების მოლები და ზოგიერთი სექტანტების მოთავე და ხელმძღვანელნი პირნი, რომელნიც არავითარ ჯამაგირებს არ იღებენ, მარტო საჩუქრებით და დრამით სცხოვრებენ, მაგრამ მათ დიდი გავლენა აქვსთ თავიანთ სამწყსოებზე.

უმაღლესი სასულიერო მთავრობისაგან ჩვენს სამღვდელოებას სასტიკად აღკრძალული აქვს მღვდელ-მოქმედების შესრულებისათვის ვაჭრობით ფულების და საჩუქრების გამოთხოვა; ზოგიერთი მღვდლები ამ აღკრძალვას ყურადღებას არ აქცევენო, ამბობენ. მაგრამ არ შეიძლება ორიოდე კაცის უმს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავსო მოქმედებისაგან დასკვნა შევადგინოთ მთელს სამღვდელოებაზე. ვინ გვითავდებებს, რომ ჯამაგირების დანიშვნის შემდეგაც არ ჩაიდენს ზოგიერთი პირი ამისთანა მოქმედებას? აილეთ სხვა და-სხვა დაწესებულებაში ზოგიერთი მოსამსახურე პირნი, რომელთაც 600—1000 მანეთზე მეტი ჯამაგირი ეძლევათ წელიწადში, მაგრამ განა ისინი ამ ჯამაგირებს გარდა სხვა არავითარს საჩუქრებს არ ითხოვენ ხოლმე საქმის აღსრულებისათვის? ღმერთმა ჰქმნას, რომ არავის არასფერი არ მოეთხოვოს!

გაზეთ «ივერიის» მე-№ 145-ის მოწინავე სტატიაში ჩვენ ვკითხულობთ: დიდი ხანია რუსეთში და ჩვენშიაც საყვედური და საჩივარი გაისმოდა, რომ სამღვდელოება ვერ ასრულებს პირნათლად თავის მოვალეობას, ვერ უწევს იმ სამსახურს მდაბიო ხალხს, რისაც ვალდებულია; საუკეთესო მოწაფენი სასულიერო სემინარიებისა და აკადემიებისა მღვდლობას არ ეტანებიან და მხოლოდ ისინი კისრულობენ ამ თანამდებობას, ვინც სხვა ალაგას, სხვა ხელობაში ვერავითარს ნიჭსა და უნარს ვერ იჩენსო...

ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება უწმიდესმა სინოდმა და შეიმუშავა პროექტი სამღვდელოების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობისა. პროექტის აზრით, მღვდელს დაენიშნება წელიწადში 600 მან... ეს ჯილდო სრულიად საკმარისია, რომ სამღვდელო კაცი უზრუნველი იყოს ნივთიერად და ერთგულად შეუდგეს თავის წმიდა მღვალეობის აღსრულებას».

ამ წერილის ავტორს ჰგონია, რომ უწმიდესი სინოდი პირველად ადგენს პროექტს სამღვდელოებისათვის ჯამაგირების დანიშვნის შესახებ. სამღვდელოებისათვის ჯამაგირების დანიშვნაზედ კითხვა აღიძრა რუსეთის იმპერატორის პავლეს ბრძანებით. შემდეგ იმპერატორის ალექსანდრე პირველის დროსაც მრავალი მიწერ-მოწერა და მსჯელობა იყო ამ საგნის შესახებ. იმპერატორის ნიკოლოზის დროს სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა პროექტი შეადგინა რომ 19 მილიონ სულს დადებოდა გარდასახადათ თითოეულს ექვს-ექვსი შაური და ამ შეკრებილი ფულისაგან დაინიშნოდა სამღვდელოებას, სასწავლებლის მექონს, 700 მანეთი, ხოლო უბრალო მღვდელს სამას-სამასი მანეთი. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პროექტი პროექტად დარჩა და არასფერი გაკეთებულა. ყოველთვის იყო ლაპარაკი სამღვდელოების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე და, მართალი უნდა სთქვას კაცმა, რომ დღეს ჩვენი სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესებულია უწინდელთან შედარებით და იმედია, რომ ეს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდება, მაგრამ ჩვენ მაინც კიდევ იმას ვიტყვით, რომ მარტო ჯამაგირების გადიდება სარწმუნოების და ზნეობის საქმეს დიდად არ დაეხმარება.

ჩვენ იმედი არა გვაქვს, რომ საერო ჟურნალ-გაზეთების პროექტები ჩვენი სამღვდელოებისათვის ჯამაგირების დანიშვნის შესახებ გამართლდეს.

როდესაც საქართველოს საექსარხოსოში შემწეობა დაენიშნათ მღვდლებს ხაზინიდგან, მაშინ ზოგიერთი შტატის მღვდლები დაშთენ უჯამაგიროდ. მასთან ამ შემწეობის დანიშვნის შემდეგ ბევრგან დაარსდენ ახალი შტატები. როგორც უჯამაგიროდ დაშთენილი ისე ახლად დაარსებული შტატების კრებულთათვისაც მოითხოვს მღვდელთ-მთავრებმა ის მცირე შემწეობა, რომელსაც ჩვენი სამღვდელოება, დიდი ხანია, იღებს ხაზინიდამ. საქმე წარედგინა უმაღლესს მთავრობას. საქმის განხილვის შემდეგ უკაზით გამოეცხადა მღვდელ-მთავრებს, რომ მათი თხოვნა ვერ იქმნა აღსრულებული. უკაზში სწერდენ: სახელმწიფოის ეხლანდელი ფინანსიური მდგომარეობა ნებას არ აძლევს მართებლობას, რომ ხსენებულ შტატების კრებულთაც დაენიშნოსთ შემწეობაო. უმჯობესი იქმნება, იმათ მოაკლოთ ეს შემწეობა, რომელთაც არ ესაჭიროებათ და მათ დაუნიშნოთ, რომელთაც არა აქვსთ დანიშნული და ძალიან კი საჭიროებენ. ამის შემდეგ განა კიდევ უნდა გვქონდეს იმედი, რომ დეკანოზებს დაენიშნებათ ხაზინიდგან ჯამაგირებად თვითოეულს ათას ორასი მან., ხოლო მღვდლებს ექვსას-ექვსასი?... ღმერთმა ინებოს, რომ საერო ჟურნალ-გაზეთების სიტყვა აღსრულებული-ყოს, მაგრამ ეჭვი გვაქვს. ერთი-ორი საუკუნის შემდეგ ვინ იცის, რა იქმნება?

სამწუხარო ის არის, რომ სამღვდელოებისათვის ჯამაგირების დანიშვნაზე პროექტებს ვადგენთ და დღემდის ვერ მოგვიხერხებია ეკკლესიებთან პატარა ქოხების აღშენება, რომ ეკკლესიის კრებულმა მათში თავი შეიფაროს. საჩუქრების მოსპობაზედ ვბაასობთ, როდესაც სამრევლოებში ნება-ყოფლობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკრებილი დრამის ფულები ველარ ამოუგია სამღვდელოებას სოფლის მამასახლისებისაგან. საჩუქრების აღება ისე ვერ დაამდაბლებს სამღვდელოებას, როგორც იგი არ ამდაბლებს კარგს და გამოცდილს ექიმებს. საჩუქრების აღება არ მოისპობა, ვიდრემდის სულიერნი მწყემსნი და სამწყსონი იქმნებიან ქვეყანაზე. და დრამის მაგიერ თუ ჯამაგირებს დაუნიშვნენ მღვდლებს, ამას აქამდისაც კი თხოულობდა სამღვდელოება და უწმიდესი სინოდისაგან ახლად შედგენილი პროექტიც ამ კითხვას შეეხება.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

---

## არა უწყიან, რასა იტყვიან.

გაზეთ «ივერიის» მე-146 ნომერში ჩვენ ვკითხულობთ ერთ უთავბოლო შენიშვნას იმ მცირე შენიშვნის შესახებ, რომელიც ამას წინეთ «მწყემს»-ში იყო დაბეჭდილი. ეს შენიშვნა შეეხებოდა ქუთაისის გიმნაზიაში წელს სწავლა დამთავრებულ ქართველთა რიცხვის შემცირებას. დიდად სამწუხაროა ჩვენთვის, რომ ამ გიმნაზიასთან ისეთი დაახლოვებული პირი, როგორიც ამ შენიშვნის ავტორია, ამისთანა სუსტს და უსაფუძვლო პასუხს იძლევა ამისთანა სავალალო და საპატიო კითხვის შესახებ. შენიშვნის ავტორი ჩვენს გიმნაზიებში ქართველ მოწაფეთა რიცხვის შემცირების მიზეზად ასახელებს ჩვენი თავად-აზნაურობის სიღარიბეს და შეუძლებლობას. ამისთანა „გონივრული და საბუთიანი» გამოკვლევის დასამტკიცებლად შენიშვნის ავტორს მოჰყავს თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია, სადაც ავტორის აზრით, მრავალი სტიპენდიებია, და ამისათვის მრავალნი ქართველნი ათავებენ სწავლას ამ გიმნაზიაშიო. შენიშვნის ავტორს რომ გიმნაზიის «სტორიისათვის» ეკითხა, ისიც კი ეტყოდა მასს, რომ თბილისის პირველ გიმნაზიაში წელს სწავლა დაამთავრა ორმა ქართველმა!... ყველა ხედავს, რომ მეხუთე და მეექვსე კლასებში მოსწავლეთა რიცხვი დიდია, განსაკუთრებით ქუთაისის გიმნაზიაში. ამ კლასებიდგან კი ძალიან მცირე ნაწილი მოსწავლეთა გადადის მერვე კლასში. ამ კლასების შემდეგ მცირდება არა მარტო ქართველ მოწაფეთა რიცხვი, არამედ სხვა ტომთაცა. რა მიზეზი უშლის სწავლის დამთავრებას მოწაფეებს ორს უკანასკნელს წელს? სიღარიბე? არა გვჯერა. ხშირად გვინახავს, რომ ერთი გიმნაზიიდგან ატირებული მოწაფე სხვა დაშორებულ გიმნაზიაში მირბოდა სწავლის დასამთავრებლად. ძალიან ძვირად უჯდებათ ამისთანა მოწაფეებს ერთი გიმნაზიიდგან მეორე გიმნაზიაში გადასვლა, მაგრამ ისინი მაინც კარგად ამთავრებენ სწავლას... რა უშლიდა მათ სწავლის საქმეში ხელს ერთ ადგილას და ან რა უწყობდა მეორე ადგილს ხელს. ამისთანა მაგალითები ხომ ბევრია. ამაზე შენიშვნის ავტორი ალბად მოგვიგებს: «ამ მოწაფეებმა თვითონ ითხოვეს გადასვლა და გიმნაზიის რა ბრალიაო». დიახ, საქმით ასე სჩანს მართლა, მაგრამ ნამდვილად როგორც ხდება ეს, მხოლოდ ერთმა ღმერთმა და თვითონ იმ გადასულმა მოწაფეებმა უწყიან. შენიშვნის ავტორს მეექვსე და მეშვიდე კლასებში მოსწავლეთა რიცხვის შემცირების მიზეზად, როგორც ზემოთაცა ვსთქვით, მიაჩნია თავად-აზნაურთა სიღარიბე. რაღა ამ ორ უკანასკნელს წელს ვეღარ შესძლეს მშობლებმა თავიანთი შვილების რჩენა? პანსიონში მცხოვრებ მოწაფეებს რაღა უშლის სწავლას? აქ შენიშვნის ავტორი მიზეზად დაგვისახელებს, მოწაფეების სისუსტეს სწავლაში. აქ პასუხს ვეღარ მივსცემთ ბ. ავტორს და ჩვენც დავეთანხმებით, რომ, თუ პირველი კლასიდამ მეექვსე და მეშვიდე კლასამდის რიგიანად არ უსწავლებიათ მასწავლებლებს მოწაფეებისათვის, რასაკვირველია, მეშვიდე და მერვე კლასის გათავება მათთვის ძნელია. შედის პირველ კლასის განყოფილებაებში ასი მოწაფე და კურსს ათავებს თვრამეტი. რა არის ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი? როდესაც ამაზედ პასუხს მოგვცემს შენიშვნის ავტორი, მაშინ მივსცემთ მასს დაწვლილებით პასუხს. რასაკვირველია, ასს შაგირდში რომ ოცი სუსტი აღმოჩნდეს და კურსი ვერ გაათავოს, შეიძლება. მაგრამ ასს მოწაფეში რომ მარტო თვრამეტის მეტმა სწავლა ვერ დაასრულოს და 80% უკანვე საზოგადოებას უსარგებლო წევრი დაუბრუნდეს, ამისი კი რა მოგახსენოთ!

## ჩვენი მოგზაურობის შენიშვნებიდამ.

(გაგრძელება *).

წარსულს წელში, 19 ივლისს, ნაშუადღევის ხუთ საათზედ ნევის პროსპექტზედ გავლის დროს, ჩვენი ყურადღება მიიქცია ყაზანის საკრებულო ტაძარმა. მწუხრის ლოცვა თავდებოდა, როდესაც ჩვენ ამ ტაძარში შევედით, დავათვალიერეთ ეკკლესია. ტაძარში მოეყვანათ თხუთმეტამდე ბავშვი მოსანათლავად. თავდა-პირველად მღვდელმა ყმაწვილების მონათვლის აღსრულება ჩასწერა მეტრიკაში და მაშინვე დაამზადა მეტრიკიდამ აღმოწერილობანი მოსანათლავ ბავშვების მშობლებისადმი მისაცემად. შუა ეკკლესიაში დასდგეს ემბაზი და შუამდის გაავსეს წყლით. ემბაზს ირგვლივ შემოუდგნენ მიმრქმელები ყმაწვილებით. მღვდელმა ჩამოუარა ბავშვებს, ჯვარი გადასახა და შემდეგ დაიწყო ლოცვა საზოგადოდ ყველასთვის. ბოლოს ყველა მოსანათლნი დასავლეთისკენ მიაბრუნა და შეაფურცებინა მათ წესისამებრ. მრწამსის წარმოთქმის შემდეგ სათითეულოდ აცხო ზეთი ბავშვებს და სათითეულოდ ჩაიყვანა იგინი ემბაზში ჯეროვანი სიტყვის წარმოთქმით. ყველასათვის ემბაზი ერთი იყო და ნაკურთხი წყალიც ერთი. საზოგადოდ, რუსის მღვდლები ძლიერ მოხერხებით ჩააყოფინებენ ხოლმე მოსანათლ ბავშვებს თავს ემბაზის წყალში. ერთ ხელს ტუჩზედ და ცხვირზე მიაფარებენ, რომ წყალი ბავშვს პირში არ ჩაუვიდეს, მაგრამ ამოყვანის დროს ხელს მალე მოაცლიან. მოსანათლავს წყალში მთლად დაუმალავენ თავს, მაგრამ შუა წელს ქვემოდამ მოსანათლი სრულებით წყალში არ სველდება, არ ვიცით კი რა მიზეზისათვის. სათითეულოდ აცხეს მათ მირონი, შემდეგ მოსწმინდეს და აღკვეცეს თმა. ასე ამ ნაირად ამ პატიოსანმა მღვდელმა ერთი საათის განმავლობაში თხუთმეტი ბავშვი მონათლა ერთ ემბაზში. ეს რომ ჩვენს საქართველოში ჰგაბედოს რომელიმე მღვდელმა, ის დაუსჯელად ვერ გადარჩება.

მეორე დღეს წირვა მოვისმინეთ ისაკიევის შესანიშნავ ტაძარში. თუმცა რიგი იყო, ტრაპეზში შევსულიყავით, მაგრამ ეკკლესიის ერთ დიდ სვეტთან დავდექით და იქიდამ ვუყურებდით მღვდელ-მოქმედებას და წირვას. დაიწყო დიაკონმა სამოციქულოს კითხვა და ისეთი დაბალის ხმით, რომ სრულებით ვერ გაიგებდით, თურას კითხულობდა იგი. ბოლოს მოუმატა თან-და-თან ხმას და კათავებისას ისეთი მაღალის ხმით დაიწყო კითხვა, რომ აღარასფერი აზრი აღარ ისმოდა წაკითხულიდამ. სახარების წაკითხვაც სწორეთ ამავე წესით იციან. ეკკლესია იტაცებს მკითხველის ხმას და წაკითხულის აზრი სრულებით არ შეუძლია გაიგოს მკითხველმა, თუ არ იცის, რომელ სახარებას კითხულობს და ან თუ სახარება ზეპირად არ იცის...

ტაძარში ჩამოატარეს ფულის შესაკრები ყულაბი პირველად, როდესაც «მოვედით თაყვანი ვსცეთ» იგალობეს, მეორედ სახარების კითხვის დროს, მესამედ «რომელი ქერაბიმთას» გალობის დროს, და მეოთხედ განიცადეს გალობის თქმის დროს. ყულაბს, მართალია, ძლიერ ზრდილობიანად ატარებენ და ისე შეუპოვრად არ გადაგიდგებიან წინ, სანამ მასში არასფერს არ ჩააგდებ, როგორც ჩვენში იციან ზოგიერთ ადგილას, მაგრამ ამ ყულაბებს, როგორც სჩანს, ძლიერ მოუბეზრებია თავი ხალხისათვის და სრულიად სასიამოვნოდ არ ურჩევა საზოგადოებას სახარების და «რომელი ქერაბიმთას» გალობის დროს გროშების ჩხრიალი. ამის შესახებ არა ერთი საჩივარი მოვისმინეთ ჩვენ ხალხში. მრავალი ისეთი წეს-წყობილებანი არიან შემოღებულნი, რომელნიც ჩვენებურს მართლ-მადიდებელს არ მოეწონება და, მართლაც, არავისათვის არ უნდა იყოს მოსაწონი, მაგრამ კაცი თუ ერთ მოქმედებას შეეჩვია, ცუდიც რომ იყოს ეს მოქმედება, მაინც აღარ ეჩოთირება მასს. გულით გვსურდა ამისთანა წეს-წყობილებათა მოთხრობა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, არ შეგვიძლია თავისუფლად მათზედ წერა.

*) იხ. «მწყემსი»-ს № 11.

## ქრისტიანი ქალი ნადსონისა.

თარგმნილი ლ—საგან.

ვუძღვნი ძვირფასს ბიძას იასონს.

სძინავს ამაყს რომს, წყვდიადით მოსილს
გაშლილთ, აშენებულთ ბაღების ჩრდილში;
უხმო დარბაზნი ჩამწკრივებულნი
მძიმე სიჩუმეს ჩაუკრავს გულში.
გაზაფხულისა ღამის სიმშვიდე
მეფობს მძინარე დიდ მოედნებზედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მთვარის ანწხლი ბრწყენა და ელვა
ჰკრთის და ციმციმებს მდინართ ზვირთებზედ.

ტიბრი ბრწყინვალე თეთრის ზოლივით
მიტოკავს თვის ბნელს ნაპირებ შუა;
ჩაფიქრებულის ჩუხ-ჩუხ დუდუნით
აგორებს ტალღებს, მირბის, მიშხუა.

სძინავს ქრისტიანს ახალ-გაზრდა ქალს,
მას თავი ქვემოთ ჩამოუხრია
ნესტიან მკელს ცივს საპყრობილეში;
ზის ის და ხელში ჯვარცმა უპყრია.

უნაყოფო და ფუჭნი გამოდგნენ
იმის მტანჯველთ ცდა და გულის ბრაზი;
ვერც მათმა აღთქმამ, ვერც მისმა ტანჯვამ
ვერ შეურყიეს მას რწმენის აზრი.

ის ულმობელის მსაჯულისაგან
არს სასიკვდილოდ განმზადებული,
და სახვალიოდ სხვა მსაჯულის წინ
წარსდგება კრძალვით ცაში ქალწული.

და აღვსებული წმიდის სურვილით,
რომ ყველაფერი ზესკნელს შესწიროს
უახლოვდება ის ტანჯვის ბოლოს,
ბოლოს ეკლიანს და ძნელს სამგზავროს...

მას ესიზმრება სამშობლოს ველნი,
გრილი ჩრდილები ცაცხვთ და ჭადრებისა,
მდინარის ცისფრათ დაკვანწულობა
და თითქმის სახლიც იმას ბავშობის,

ასე წინანდელს წყნარს ტკბილს ცხოვრებას
ის თავის გულში ცოცხლად იგონებს,
მაგრამ ვერც შფოთავს, ვერც შენანებას
ესენი იმას ვეღარ უღვიძებს.

საამქვეყნიო ყოველ გვარ საგნის
გულ-გრილად ხედავს ის მიეჩვია!
არ სთვლის საჭიროდ წუთის სოფლის ბედს,
არც გულ საწყვეტი რჩება გულშია.

აღვსილმა ციურ სასოებითა
იმან უცრემლოდ და უნაღვლელად
უარყო ქვეყნის გუნდ სასურველთა
და ტკბილ ოცნება ახალ-გაზრდობის,—

იგი ქრისტეს და ღვთის ტრაპეზზედ
მზათ არს შესწიროს სულ ყველაფერი,
რადგ შემკობილ არს მის ცხოვრების გზა,
რაც არს მნათობი მისთანა მგზავრი.

## II

ამაყად ტიბრზედ მაღლა აღმართულს
ნერონის დარბაზს წყნარადა სძინავს:
მის ირგვლივ მმურებრ გადამწვანებულ
ჩინართა მწკრივი ლამაზათა სდგას;

წყნარის სინაზით ბინდით მოცული
მის ირგვლივ ბაღი ფშვივის, სულს ითქვამს;
მის ჩრდილში წყაროს ანკარა წყალი
ჩქეფებით ელვარე გარემოს შხეფავს.

შორს მთები ზოლსებრ ჩამწკრივებულნი
ზეცაშიდ მაღლა იკარგებიან
და უდაბური მათზედა ტყენი
შავად მოსილნი ურყევად დგიან.

სძინავს მთელს არეს, მხოლოდ ალბინი
ზის ფანჯარასთან ჩაფიქრებული...
უნუგეშობით, მწარის ფიქრებით
სული აემღვრა, არს არეული.

ქრისტიანთ მტერი დიდი პატრიცი,
რომშიდ განთქმული ვითმეომარი,
აღძრულს ტრფობის ალს ვეღარ უძლებდა,
დამონდა ვით ყმა გაუგებარი.

ხალხს, ლხინს, შექცევას მოშორებულსა
შუაღამის დროს წყნარ სიჩუმეში
იგივ აღზნებულ ფიქრთ ტრფობის ალი
სწვავს, სულს უხუთავს ტანჯვებით გულში;

დაუწყნარებლად ოცნება იმას
არა სახუმრო ტრფობით აშფოთებს;
მის გულთ ზრახვანი წინ უხატვენ მას
ცოცხლად სანატრელ ტრფობის სურათებს,

და გაზაფხულის წყნარ სიბინდეში
ის წინ ძვირფასსა სახესა ხედავს,
სახეს საყვარელს და მის თვალებსა
ციურს იმედით აღვსილსა სჭვრეტავს.

## III

მას შემდეგ რაც რომ მასთან ქალწული
სამსაჯულოდა არს მიყვანილი,
გაფხიზლდა მისი ცივი ქვის გული
ამდენ ხნის მშვიდათ ღრმა ძილს ჩაფლული.

ალბინის გულშიდ სასახლის რყვნამ
უბიწო ლტოლვა ეცბათ დაიპყრო,
მაგრამ წრფელ ტრფობამ.ბოროტ აზრთ მტერმან

ბილწ ღტოლვას ხმლისებრ შემუსვრა უწყო;
მარიამს სასჯელს როს უცხადებდა
რომის სასახლის ამაყი შვილი,
თვითონ ალბინი მას ვერა გრძნობდა
გული რომ ჰქონდა ქრისტიანული,
და მშვენიერის პატიმრის სიტყვებს
იგი სიხარბით ღრმად ყურს უგდებდა
და ნაპერწკალი სარწმუნოების
ღრმათ, ნათლად გულში მას ჩაებადა.
სიყვარულმა და სარწმუნოებამ
დაივანტეს მასშიდ მველ შეცდომანი
და შეურყიეს ამაყი გული,
მაღალს ზნეობით სახელოვანი.

## IV

მტრედის ფერ ცაზედ აღმოსავლეთით
ცეცხლებრ აენთო ცისკრის სხივები
და არე მარე მან გაანათა
ვით ცეცხლის ალის მძლავრი ზვირთები;
იქეთ, წყლის გაღმა გამოაბრწყინვა
მზემა ხალისად და სხივთა თამაშით
და ოქროს რგოლსებრ აღმომცურავი,
ანათებს, ელავს სიამპარტავნით.
რომს გაეღვიძა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად
ბუმონს გუგუნით ესწრაფებოდა
და ხალხის ჭრელს ზვირთებს რომის დიდ ცირკი
თითქმის თავამდინ ძლივსღა იტევდა.
მდიდრულად მორთულს თავის ლოჟაში
წითელ მანტია ზედ წამოსხმული
ზის იქ ნერონი თვის მეგობრებში,
ოქრო და ვეცხლშიდ სულ გაჭედილი.
მეგობართ რიცხვში ჩვენი ალბინი,
მტანჯველ-ფიქრებით მთლად დაქანცული,
ვით ღამე წყნარი და მშვენიერი
სილამაზითა ბრწყინავს ბედკრული.

---

მოუთმენლად ხალხი ქოთქოთებს
მათთვის დანიშნულს ადგილებზედა,
მაგრამ—ანიშნეს და კარი უცბათ
ჭრიჭინით გაიღო ყანგ-უვრიმლებზედა,—
და მოედანზედ ხელის ნაბიჯით
ვეფხვი გამოდის სიამაყითა;
მის შემდეგ მარჯვედ და გულ-თამამად
ქალი შემოდის ხელში ჯვარცმითა;
თეთრად მოსილი ის წამებული
წყნარის სიმშვიდით იმზირებოდა
და ერთ წამს ცირკის მგრა, ხმაურობა
მყის შეიცვალა ყრუ უდაბნოდა.
ვით ჯილდო მუნჯურ აღტაცებისა
წინაშე ციურ მშვენიერებისა,
ვით ლანდი იდგა მწარე ალბინი
ქვეშ ჩაეგიდა ფერ შემკრთალს თავი

. . . . . . . . . .

უეცრად ხალხთ წინ ჩაჩუმებულის
ისმა ხმა მისი გულ მომხიბლავი.

## V

«უკანასკნელის სიტყვის სათქმელად
ვძრავ მე ჩემს ენას ათრთოლებული:
მშვიდობით, რომო, კეისრის ვკვდები
ქრისტეს რწმენისთვის მე წამებული.
ამ უკანასკნელ წუთს სიკვდილის წინ
მე მიუტევებ ჩემს მტანჯველებსა:
მათთვის მხურვალე გულით ლოცვები
მაღლა ზეცაში მიმაქვს მტანჯველსა:
მხსნელმა ნუ ჰკითხოს იმათ პასუხი
ჩემს დანთხეულის სისხლის გულისთვის,
და მაცხოვარმან თვის დიდ ოჯახშიდ
იღოს ისინი უმეცრებისთვის,
და ნაპერწკალი წმიდის სწავლისა
მათ ცივს გულშიდა ქრისტემ აღუგზნოს
და ნეტარება შერიგებისა
მათ შფოთ ცხოვრებას გარდაეფინოს».
მან გაათავა — და ღრმა სიჩუმე
მეფობდა ყველგან ამ დიდ ცირკშიდა;
თითქო აეგზნოთ მათ შებრალება
იმათ ულმობელს და ცივს გულშიდა

. . . . . . . . . .

უეცრად ხალხთ წინ მხეცთ მოედანზედ
თვალებთ ელვარე გაჩნდა ალბინი,
ამას ამბობდა: «მეც შენთან მოვკვდე,
მეცა ვარ, რომო, აქ ქრისტიანი».

---

ცირკი მყის შეკრთა, ღელვით გაფხიზლდა,
ვით ტყე ქუხილით შემოდგომისა,—
და მხეცი შიშით უკან მსწრაფლ გახტა,
აეკრა მაგრათ მავბედითს კარსა....
აგერ წინ იწევს და ეპარება,

მოფორთხავს ჩუმათ, ნელ-ნელ ვით გველი...
ისკუპა... მიწა წითლად შეღება,
ღვარ-ღვარ დაიქცა წმიდანებთ სისხლი....
წამების ტანჯვა და თვით სიკვდილი
ბრმად შეურაცხჰყო რომმა სიცილით
და ტანჯვულთ ლოცვა უკანასკნელი
დაჰფარა ხალხმა მხეცურ ტაშის კვრით.

---

ღრმა ძველ დროისა ხალხის ნათქვამმა
განვლო მრავალნი საუკუნენი
და შთამომავლობამ პირუთნეველმა
გადმოგვცა მათი წმიდა სახელნი.
უბრალო ხალხმა თავის ნათქვამშიდ
მუნ შეინახა კრძალვით გულ თბილად,
როგორ როდისღაც წინედ ძველ დროშიდ
ერწმუნებოდნენ, როგორც უფარდათ.

## საისტორიო მასალა.

## იმერეთის მეფის სოლომონის უკანასკნელნი დღენი.

(გაგრძელება *).

მოციქულები რომ უკან გაგზავნეს, მეფემ დაიწყო თავისებურათ გულსმოდგინებით ლოცვა, და მერმე დაუძახა ყველას მის სახლში მყოფს და ჰკითხა იმათ: „თქვენ ყველანი ჩემი ძმები ხართ, ზოგნი ჩემი გაზრდილნი, ზოგნი თან შეზრდილნი, რომელნი ეხლაც არიან ჩემს სამეფოში. მე თქვენს უფროსად ვარ ეს ოც-და-ათ წელიწადზე მეტია და ვარ მადლიერი თქვენი მოქმედებით, საჭიროდ ვრაცხავ მოვთვალო თქვენი ერთგულება, მხოლოდ ვიტყვი, რომ მე თქვენ ყოველ საქმეში ერთგულება დამიმტკიცეთ და მისთვის თქვენ იყავით განშორებული თქვენს ოჯახს და ცოლ-შვილზე. ახლანდელი დრო სცვლის ჩვენს უწინდელ ცხოვრებას და ჩვენ ამიერითგან სიკვდილამდე უნდა განვშორდეთ ჩვენს საყვარელს მამულს და ვიცხოვროთ უცხო ქვეყანაში. და ამასთანავე მსურს გკითხოთ, ვინ არის ჩემი განსაკუთრებული ერთგული ამ უკანასკნელს მდგომარეობაში? ახლანდელი საქმე არ არის უბრალო და ადვილი. ვის ჰსურს ჩემი თანამოზიარობა?.. აქ ერთი მხრით შეჰფიცეს ერთგულებაზე, ისურვეს მონაწილეობა მის მწუხარებასა და სიხარულში, ისურვეს ყოფნა იმასთან განუშორებლათ უკანასკნელს წამამდის და თავისი სიტყვების დასამტკიცებლათ მოსთხოვეს მეფეს ჯვარი, რომლის წინაშე მას შეჰფიცეს, რომ მტკიცედ შეინახვენ თავისს სიტყვას. ამის შემდეგ რამოდენიმე დღე გამოვიდა, მეფემ მოუწოდა თავის იმერეთის მხედართ-მთავარს თავადს ქაიხოსრო წერეთელს და უთხრა იმას საიდუმლოთ თავისი აზრი. ჩემი წასვლა პეტერბურღს და ჩემი ხლებულით იქ ცხოვრება მეტად საძნელოა. შენ თვითონ იფიქრე, რა იქნება ჩემი იქ მისვლა იმ დროს, როცა იქ ხელმწიფეები თავს იყრიან? ეს იქნება დაუვიწყარი სასირცხო საქმე და სასიკვდილო და უკანასკნელობა ჩემთვის. უმჯობესია, რომ მოვკვდე, ვიდრე ამნაირათ გავაუპატიურო ჩემი გვარ-ტომობა, რომელიც არის შთამომავალი დავით წინასწარმეტყველისა. ეს ოც-და-ათი წელია, რაც ვმეფობ და ახლა ასე გაუპატიურებულათ უნდა ვიცხოვრო (ე. ი. ტყვეთ ვიქნე). მე გამოგტეხივარ ჩემ ეხლანდელ საიდუმლოს და ეხლა მე ვარ დარწმუნებული შენზედ და, როგორც სჯობდეს, ისე მოიქეცით. მითხარი ნამდვილი, რას ფიქრობ ამ საქმეზე. თავადი ქაიხოსრო ყმაწვილობიდან იყო ძალიან ერთგული და ყველაფერს მათ ბრძანებას ასრულებდა, ამიტომაც ის მიხვდა, რაიცა ჰსურდა მეფეს და აქვე ჰკითხა მეფეს: «მეფეო! თქვენ თითონ იცით, რომ მე ყოველთვის მზათა ვარ დაგიმტკიცოთ ჩემი თავ—განწირულება, გთხოვთ თქვენი სურვილი და თქვენი ნება გამომიცხადოთ». მეფემ

---

*) იხ. «მწყემსი»-ს № 11

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთხრა, რომ ჩემი აუცილებელი სურვილი არის ოსმალეთში მგზავრობა და, თუ რამე შემთხვევა მექნა, შევდგე ბერათ და იქ გადავიტანო ყოველი უბედურება».

მხედართ-მთავარმა თავადმა ქაიხოსრო წერეთელმა დაარწმუნა მეფე, რომ ყველაფერს მის სურვილს აუსრულებს და, როგორც გაშორდა მეფეს, იმ საღამოსვე უთხრა იქ მყოფ თავადებს მეფის სურვილი; ყველამ დიდის სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება. მაშინ ქაიხოსრომ დაუძახა ერთ ცოტა მამულის პატრონს აზნაურს, რომელმაც ჯერ არა იცოდა რა და ჰკითხა იმას: «როგორ აფასებო მეფის წყალობას, ან როგორი სიყვარული გაქვს იმისიო?» იმან უპასუხა, რომ მეფე ჩემი დედ-მამას და ჩემს საკუთარს თავს მირჩევნიაო. იმისთვის მოვითმენო ყოველ უბედურებას». თავადმა ისევ ჰკითხა: „თუ შემთხვევა მოითხოვს, შეგიძლიან, რომ მეფისთვის მიიღო სიკვდილი (ე. ი. საწამლავი, ანუ ხმლით თავის მოჭრა, ანუ დახვრეტა, ანუ თავი გაიმეტო დასახრჩობათ); ან ამისთანა შემთხვევებში როგორ მოიქცევიო!» იმან უპასუხა: პირველი რაცა სთქვით, ამის ასრულება დიდის სიამოვნებით შემიძლია და მეორესი კი არა, ჩემი სისუსტის გამო". თავადმა მადლობა უთხრა სიმართლისთვის და აჩუქა ფულები, ტანისამოსი, იარაღი და იმ ღამესვე გაუშვა თავის სახლში იმ პირობით, რომ არავის უთხრას, რაც იმას ელაპარაკა. იმავ წამს ქაიხოსრო წერეთელმა წარუდგინა მეფეს და ამან უბრძანა იმ აზნაურს: «წადი ქუთაისს და მოახსენე დედოფალს ჩუმათ ყველაფერი გარკვევით. დედოფალი წავიდეს გურიის მთავართან, და მერე გადავიდეს ქობულეთის მაზრაში და მოიცადოს იქ, რადგან იქ რომ ჩამოვალ მეცა და დედოფალიც უნდა წავიდეთ ბათუმიდამ სტამბოლს. ამ ბრძანების შეტყობის შემდეგ დედოფალმა დააგდო ქუთაისი და წავიდა გურიას, იქიდგან გადვიდა ქობულეთს და იქ უცდიდა მეფის მობრძანებას, მაგრამ ის არსაითა ჩნდა...

მეორე დღეს, სადილს შემდეგ მეფემ რომ მოისვენა, თავადმა ქაიხოსრომ დაუძახა მეორე ახალ გაზრდა აზნაურს, რომელიც სიყმაწვილიდგან მეფის თვალ-წინ იყო გაზრდილი, მოართმევდა ხოლმე იმას პირის საბანს წყალს, გახთიდა ტანსა და ფეხს, სუფრაზედ ემსახურებოდა და თავის ხელით უსხამდა ღვინოს. ერთის სიტყვით იმის დიდებულების ოთახში განუშორებელი მსახური იყო, და ჰკითხა იმას: სიყმაწვილიდგან მეფის სიახლოვეს და იმას მფარველობის ქვეშ იმყოფებიო, იმის მოწყალება უთვალავია შენზე და ეხლა მითხარ, რამდენად ერთგული ხარო იმისი? იმან მიუგო: მეფისათვის ჩემს მშობლებს, ოჯახს და საკუთარ სიცოცხლესაც გავსწირავო და ღმერთმა ინებოს ეს საქმითაც დამემტკიცებინოსო. ქაიხოსრო წერეთელმა უთხრა იმას: «ხედავ, მეფე რანაირად დაწუხდა, ხედავ, რანაირად დაიჩაგრა იმის ძვირფასი სიცოცხლე? აბა, ახლა შენც მოგეცა დრო ერთგულების გამოჩენისათვის. შეგიძლია იმისთვის თავის გაწირვა?» — იმან ამაზე წარმოსთქვა: „გმადლობ შენ, უფალო, რომ ღირს მყავ მე მეფისთვის თავის გასაწირავად. ჩემს სულს ეს დიდი ხანია ჰსურდა და სანატრელი ბოლო ახლა მოიპოვა!» მაშინ ქაიხოსრომ გამოუცხადა იმას მეფის განზრახვა: მეფე იძულებულია თავის ხლებულით საქართველო დასტოვოს და ოსმალეთს წავიდეს; იქ თავისუფლად უნდა ცხოვრება. ამისათვის ურჩევდა იმას, რომ მეორე საღამოსათვის ასე ემოქმედნა: თავისი კაბა გაეხადა და მეფისთვის დაეთმო ჩასაცმელად და სამეფო კაბა კი აზნაურს ჩაეცვა და ფარდებ ჩამოშვებულ მეფის ქვეშსაგებში დაწოლილიყო. მერმე ქაიხოსრომ ხლებულებში გასცა ბრძანება: თქვენ აღშფოთება დაიწყეთ, ვითომც ზოგს თქვენგანს არ ჰსურდეს პეტერბურღს გაყოლა მეფესთან და მეფეს კაცი მოუგზავნეთო დათხოვნისათვის, ისე რომ დარაჯმა (ყარაულმა) ყოველივე ეს ცხადათ შეიტყოსო. შემდეგ მეფე რომ გამოგემშვიდობებათ, შეჯექით ცხენზედ, გადით თბილისს გარეთ სპარსეთის ალაყაფის კარებით და დანიშნულს ალაგს ცხენები მოგვიმზადეთო. მეფის მხლებლებმა მართლაც უთანხმობა და შფოთი ასტეხეს. იმათი დამშვიდება არც დარაჯს და არც პოლიციას არ შეეძლო. ამაზედ მთავარ-მართებელს მოახსენეს. ის თვითონ მოვიდა და ეხვეწებოდა რომ დამშვიდებულიყვნენ, მეფესთან პეტერბურღში წასვლას ურჩევდა.

ამ დროს მეფე გამობრძანდა და პირმოთნეთ აშფოთებულ ხლებულებს უთხრა: «ძმანო! თქვენ ჩემთვის საჭირო არ ხართ, თუ ვისმე ჩემთან დარჩენის სურვილი აქვს, როგორც ჰსურდეს, ისე მოიქცეს და ვისაც არ ჰსურს, თავის სახლში დაბრუნდეს». ყველა ხლებულთა, ექვს თუ შვიდს თავადს და რამოდენმე აზნაურს გარდა, მიუგეს მას ერთი ხმით, რომ პეტერბურღში წაყოლა არც ერთს იმათგანს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰსურს. მაშინ ყოველივე შეაონება, რჩევა მთავარმმართებლისა, რომ მეფეს გაჰყოლოდნენ, უსარგებლოდ დარჩა. ისინი ყველანი იმავ საათში გაიფანტნენ. იმათ თავიანთ ცხენების ერთ ადგილს მოყრა დაიწყეს, ქალაქიდგან გავიდნენ და შვიდ ვერსტზედ შეიყარნენ. საგზალზე იმავ ღამესვე იზრუნეს. მეორე დღეს ზოგიერთმა იმათგანმა, ვითომც საოჯახო ნივთების საყიდლად, ქალაქში სიარული დაიწყეს და აჩვენებდენ სახეს, ვითომც ისინი ამ ახლო ხანებში იმერეთს წასვლას აპირებენ; თავადს ქაიხოსროს კი თავიანთ მხრით სრულიად მზად ყოფნა ჩუმათ აცნობეს. იმ საღამოს როგორც დაღამდა და კაცის ცნობა არ შეიძლებოდა, მეფე ადგა, ტანისამოსი ჩაიცვა, რამდენიმე თავადი გაიყოლა და წავიდა ვითომ აბანოში. აზნაურს უბრძანეს ქვეშაგებში იყოს, მანამ ვინმე ძალდატანებით შიგ არ შემოვიდეს. სანთლების ანთების შემდეგ, მეფის კაბინეთში ფარდები ჩამოუშვეს. მეფემ ხელში ღვინისთვის ლიტრა აიღო და მსახურის ტანისამოსში ვინც კი იმასთან დარჩა, ყველასთან ერთათ გამოვიდა. იმათ გამოსვლის შემდეგ, ამ პატიოსანმა მსახურმა კარები ჩაიკეტა. მეფის ქვეშსაგებში დაწვა და იმის საბანიც დაიხურა. როცა თავადი ქაიხოსრო წერეთელი გამოვიდა, უფროს მომრიგე დარაჯს და პოლიციის ბოქაულს უთხრა, რომ იმათ აბანოდგან მოსვლამდის მეფე არ შეეწუხებინათ, და თუ ვინმე მნახველი მოვიდეს, მეფის მაგიერად უარი უთხრან (ვითომ ეს იმათ წინდაწინ აქვთ ნაბრძანები მეფისაგან), რადგან შეუძლოთ ბრძანდებაო.

აბანოს ჭისკარისკენ რომ გაატარეს მეფე, ერთ იმერელ მეპურესთან მივიდნენ, თბილი ლავაშების სასყიდლად. ამ იმერელმა ჰკითხა იმათ: «ის ყმაწვილი კაცი ვინ არის, მშვენიერი შეხედულობისაო, ბრალი არ არის ეგ მსახური იყოსო, რა წარმოსადგენი შეხედულების არის! ეგ დალოცვილი ვიღაც დიდკაცის შვილს ჰგავს». აქ თავადმა სიმონ წერეთელმა, რომელიც იმის (მეპურის) ბატონი იყო, შესძახა: «რამდენი ხანია, რაც ენა დაგგრძელებია?.. შენ ვინ გკითხავს მაგისთანაებს, დამაცალე თუ კიკნაძეებს არ მიგყიდო?..» მეპურეს ძალიან შეეშინდა თავის ბატონის მუქარისა, დააგდო დუქანი და იმავ წამს გაიქცა. იმათ იყიდეს რამდენიმე ახლად გამომცხვარი ლავაშები და მეფეს მისცეს წამოსალებათ, როდესაც ისინი ბაზარს გაშორდენ და აბანოებს მიუახლოვდენ, იქ მელვინისკენ შეუხვიეს, ერთი ჩაფი ღვინო იყიდეს და ისიც მისცეს მეფეს წამოსალებათ. ამ გვარათ ისინი გავიდნენ სეიდაბადში, გაიარეს სპარსეთის ჭიშკარი. იქ ერთს სამიკიტნოში ორი სომეხი ლაპარაკობდა; სანთლის სინათლეში ერთმა იმათგანმა ყურადღება მიაქცია ზევითკენ რომ კაცები მიდიოდენ და რომელსაც პური და ღვინო მიჰქონდა, ის ძალიან მოეწონა თვალ ტანად და უთხრა თავის მოსაუბრეს: „შეხედე, გეთაყვანე იმ ახალ-გაზდა კაცს, რა ლამაზია: შორიდამ ამისთანა მოსული ბიჭი ჯერ არ მინახავს». აქ ამათ ლაპარაკზე რამდენიმე სომეხმა შეიყარა თავი და იმათაც დაიწყეს: „ესენი მგონი იმერლები არიან და ის (ქაიხოსრო წერეთელზე უჩვენა) ალბათ იმათი მეფეაო!» ამ სიტყვებს მეფეზედ ისეთი მოქმედება ჰქონდა, რომ წაიქცა და ღვინო დააქცია. ერთის მხრით თავადმა ქაიხოსრომ და მეორეს მხრით სიმონ წერეთელმა, ააყენეს ის და უთხრეს: „კაცო, რა გემართება შენ დღეს, რა ეშმაკი გაშფოთებს, ხომ არ დაგილევიაო? ფეხი მოიმაგრე, თორემ იცი რას გიზამთ?» —ამ გვარი სიტყვებით მოაბრუნეს ის გულშეწუხებულობიდგან და თავისი გზა განაგრძეს. როდესაც ისინი ქალაქიდგან გამოდიოდნენ, თავადმა ქაიხოსრომ მეფეს ცოტა საყვედური უთხრა სულმოკლეობისათვის, მეფე იმდენად იყო დაღალული, რომ წინ წასვლა აღარ შეეძლო. მაშინ იმას მხრებში შეუჯდენ და ისე წაიყვანეს. ამ შემთხვევაში განგებას იმისი და იმასთან მყოფთა ხვედრის გაადვილება ნებავდა. იმათ შემოეყარათ თავადი ბარათაშვილი, რომელიც სოფლიდგან ქ. თბილისში მიდიოდა. აუხსნეს რა ამ თავადს თავიანთი მდგომარეობა, დაღალული მეფისათვის ცხენი სთხოვეს. ამ კეთილშობილმა თავადმა სულით და გულით თავისი ცხენიც და საგძალიც დაუთმო და მათთვის კეთილი გზა ისურვა. ამასობაში ისინი მივიდნენ ბინაზე, საცა ხლებული უცდიდა მათ, შესხდენ ცხენებზედ და თრიალეთით ახალციხეს გაუტიეს. როცა იმ ქალაქს მიუახლოვდნენ, წინ-და-წინ შიკრიკი გაგზავნეს ახალციხის ფაშასთან და მეფის მისვლა შეატყობინეს. შემდეგ სთხოვეს იმას, კონსტანტინოპოლს წასვლის ნება მიეცათ, თან გაეტანებინათ წინამძღოლები და შეეტყობინებინათ მეფის მისვლა მახმად სულთანისათვის. როცა ფაშამ ამისთანა ამბავი მიიღო, გაგზავნა მეფის შესაგებებლად პატივცემული კავალეროსანი და მერე თვითონაც თავის ხლებულით ქალაქს გარეთ გამოვიდა და ცხენ-და-ცხენ ასპარეზობით მეფეს პატივი სცა. იმან მეფე დიდის სიხარულით და გამოუთქმელის პატივისცემით მიიღო. ახალციხის ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქი ჩირაღნით გაანათეს. სანამ ახალციხეში ბრძანდებოდა მეფე, სადილვახშმისა და ხლებულის ხარჯათ ფული ხაზინიდამ გამოჰქონდათ, თითონაც თავის ხლებულით ყოველ საღამოს ნახვიდა ხოლმე, ნუგეშს აძლევდა იმას და აიმედებდა კიდეც იმერეთის სამეფოს დაბრუნებით. ამასთანავე იმან სტამბოლში მის დიდებულებასთან ერთი ჩინოვნიკი გაგზავნა და მეფის რუსეთის საზღვერიდამ ახალციხის პატარა ფაშასთან გადასვლა და იმის მიღება აცნობა; ამასთანავე უბედურის მეფის ხვედრის შემსუბუქება ითხოვა. როცა მისმა დიდებულებამ ახალციხის მმართველიდგან მოხსენება მიიღო, მეფეს დიდი წყალობა მიავლინა. იმან დაწერა ბრძანება: «იმერეთის მეფეს სოლომონს მეორეს ოსმალოს მთავრობა თავის მფარველობის ქვეშ მიიღებს». ამასთანავე ოსმალეთის შემწეობით იმერეთის სამეფოს დაბრუნებამდის მეფე სრულიათ თავისუფალი და უშიშარი იქმნებაო. მეფისა და იმის ხლებულისთვის პატივსაცემი ერთი რაზმი ჯარისა დანიშნა სალამსახუროდ. ამასთანავე ხარჯათ დაუნიშნა მეფეს და იმის ხლებულს აზრუმისა და იმის გარემო ქალაქების შემოსავალი: სახელდობ ათის თავი ქირინახულის მოსავლიდგან, ქერიდგან, წვრილი და სხვილი ოთხფეხიდგან და შინაური ფრინველიდგან.

---

## საქართველოს ძველი დროის ნაშთები წმიდა ქვეყნებში და სინას მთაზე*).

მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს წმ. ადგილებში ყოფილა სალოცავად საქართველოს ეპისკოპოსი ამბროსი, რომელიც იყო სამცხიდგან. ამბროსის დაუვლია მთელი საბერძნეთი, იერუსალიმი, სინას მთა და ყველგან ქართველების მონასტრებისათვის შეუწირავს დიდი შესაწირავი. ამბროსი ეპისკოპოსი გაუგზავნია წმ. ადგილებში ათაბეგს სახელად მზე-ჭაბუკს, რომელიც ყოფილა ძე ათაბეგის ყვარყვარე მეორისა (1483—1500) და მამა ათაბეგის ყვარყვარე მესამისა (1516—1535).

1512 წელში თავადი ბექენა (ბეჟანა), ძე ირუბაკ ჩოლოყაშვილისა, ყოფილა იერუსალიმში; მისთვის დიდი შესაწირავი გაუტანებია კახეთის მეფეს გიორგი მეორეს (1513), ხოლო 1536 წელში ამავე ჩოლოყაშვილს აღუშენებია მონასტერი წმ. თეოდორეებისა.

1531—1536 წლებში კახეთის მეფეს ლეონ მეორეს (1520—1574 წ.) გაუგზავნია იერუსალიმში ჯვარის მონასტრის წინამძღვარი იოაკიმე ჩოლოყაშვილი და თან გაუტანებია მდიდარი შესაწირავი იერუსალიმის მონასტრების სასარგებლოდ და დიდ ძალი ფული, რომ ურწმუნოთაგან გამოესყიდა და შემდეგ განეახლებინა გოლგოთა, წმ. სასაფლაო და აღდგომის ტაძარი.

ისტორიკოსი ვახუშტი აი რასა სწერს: «სულთანმა სულეიმანმა კაცი გამოუგზავნა სამ მეფეს: ქართლის მეფეს გიორგი მეცხრეს (1525—1535), იმერეთის მეფეს ბაგრატს (1510—1548) და კახეთის მეფეს ლევანს (1520—1574) და შეუთვალა მათ: „იერუსალიმი, რომელიც აკვანია თქვენი სარწმუნოებისა, დაჭერილი აქვსთ ურწმუნოებს (სხვა აღმსარებელთ), მე გამლევთ თქვენ ამ ქალაქს, წადით, გაამძევეთ იქიდგან ურწმუნონი, და თქვენ დაიფლეთ. ეს ჩაიდინა სულეიმანმა ორი მიზეზისა გამო: სულთანს ომი ჰქონდა დასავლეთისკენ, ამავე დროს ვერაფერი კარგი განწყობილება ჰქონდა სპარსიის შაჰთან და სურდა მოეშორებია მისგან საქართველო და მერე თვითონ დაეფლო იგი. თანახმად ამ წინადადებისა ამ მეფეებმა, რომელთაც ერთმანეთ შორის კარგი განწყობილება ჰქონდათ, საჩქაროთ შეჰკრიბეს ჯარი და ერთად წავიდნენ საომრად; მათ შეუერთდა ათაბეგი ყვარყვარე. როდესაც ისინი მიუახლოვდენ იერუსალიმს, ამ ქალაქის მცხოვრებლებმა ჰკითხეს მათ: „შეგვატყობინეთ, თუ ვინა ხართ. თუ თქვენ ჩვენი მტერი ხართ, ძალიან ცოტანი მოსულხართ, და თუ სტუმრები, ძალიან ბევრი ხართ?“ მეფეებმა განუცხადეს მათ, რომ მოვსულვართ საომრად და ძალაც საკმაო გვაქვსო. მაშინ მოხდა დიდი სისხლის ღვრა, ქართველებმა სძლიეს მტერთ, შევიდნენ ქალაქში, გაცარცვეს ის, წაიღეს მრავალი საშოვარი და წაიყვანეს ტყვეები. ამისათვის სულთანმა მისცა ქართველებს შემდეგი წმ. ადგილები: უფლის საფლავი, გოლგოთა, ბეთლემი და წმ. ჯვრის მონასტერი. ამის შემდეგ საქართველოს სამი მეფე და ყვარყვარე დიდი ამბით დაბრუნდენ სამშობლოში. ვახუშტის მოწმობით ეს მოხდა 1525 წელში.

ამასვე მოგვითხრობს ტიმოთე, მაგრამ ძალიან საეჭვო კია ეს მოთხრობა. ზემოთ მოხსენებული მეფეები არამც თუ არ ყოფილან საომრად იერუსალიმში, შეიძლება სალოცავადაც არ წასულიყვნენ წმ. ადგილებში. რომ ეს ასე, ამას ისიც ამტკიცებს, რომ იერუსა-

*) იხ. «მწყემსი» № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიმში ნახული ხელნაწერები და წარწერანი არაფერს არ მოგვითხრობენ ამაზე. მართალია, ჩვენამდის უძველესს არ მოუწევია და ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული ქართველების მოღვაწეობა წმ. ადგილებში, მაგრამ უეჭველია, რომ ოსმალებმა, რომელთაც დაიპყრეს სირია, პალესტინა და ეგვიპტე 1516—1517 წლებში, არ შეეძლოთ ისეთი წინადადება მიეცათ ქართველებისათვის, როგორსაც მოგვითხრობს ვახუშტი. შეიძლება ქართველების ჯარმა მონაწილეობა მიიღო ოსმალებთან ერთად სირიაში და პალესტინაში, იმის მსგავსად, როგორც ქართველების ჯარი იყო საომრად ამ ადგილებში მონგოლებთან ერთად XIII—XIV საუკუნეებში. შეიძლება ოსმალებს უნდოდათ შეესუსტებინათ რომაელების ზედგავლენა იერუსალიმში და მათ მაგიერ მიიწვიეს ქართველები. ეს მართლაც შესაძლებელია, რადგან ოსმალები და მათი წინამოადგილენი უფრო ხელს უწყობდნენ აღმოსავლეთის ქრისტიანებს: ქართველებს, სომხებს, აბისინიელებს და ბერძნებს, ვინემ რომაელებს და საზოგადოდ ევროპიელებს.

საქართველოს მატიანეთა თქმულებისაგან საქართველო მეფეების მოგზაურობაზე იერუსალიმში, უფრო სარწმუნოა მოთხრობა მეფე ვახტანგ პირველზე მეხუთე საუკუნეში, როდესაც საქართველოს საზღვრიდგან მოუღლეველი თვითონ იერუსალიმამდის მშვენიერი გზა იყო და მოგზაურობის დროსაც არავითარი საშიში არა იყო რა, და ვახტანგ მესამეზე 1303 წელში, როდესაც თუ არა თვითონ იგი პირად, მისი ჯარი მაინც შევიდა იერუსალიმში.

1540 წელში დაიარა იერუსალიმის წმ. ადგილები თბილისის ეპისკოპოსმა ელისე საგინაშვილმა.

1575 წელში ყოფილა იერუსალიმში მოგზაური რაუვოლფი, რომელიც პალესტინაში მცხოვრებ ქართველებზე მოგვითხრობს შემდეგს: «ეს ხალხი მოსიყვარულეა, მაგრამ მასთან მეტად მამაცი და გამბედავი მეომარი არის; გარეგნობით და ტანის მოყვანილობით ქართველები გვანან სპარსიელებს, მაგრამ ისინი უფრო შავები არიან ქართველებზე. ქართველებს ჰყავთ თავისი პატრიარქი (კათალიკოსი), თავისი ეპისკოპოსები; თუმცა ზოგიერთი საგნების შესახებ სხვა-და-სხვა აზრისანი არიან ქართველები და ბერძნები, მაგრამ პირველნი მაინც ბერძნების სარწმუნოებას აღიარებენ. იერუსალიმში ქართველებს აქვსთ საკუთარი მონასტრები, სადაც ისინი თავისებურად გალობენ და აღსრულებენ ღვთის მსახურებას.

თავადი ნ. რადზივილი, რომელიც მოგზაურობდა წმიდა ადგილებში 1582 წელში, ამბობს, რომ ქართველებს ეკავათ მთელი გოლგოთა, მაგრამ დღეს მათ უჭირავთ მარტო ერთი სამლოცველო გოლგოთას დასავლეთის ნაწილი.

კოტოვიკი, რომელიც მოგზაურობდა 1598 წელში წმ. ადგილებში, ამბობს: „ქართველები, რომელთაც უჭირავთ სამლოცველო, სადაც ეცვა ჯვარს ქრისტე, ნებას არ აძლევენ, რომ ფრანგებმა ამ ადგილზე წირვა შეასრულონ, მაგრამ სამლოცველოში შესვლა და თაყვანის ცემა კი ყველას შეუძლია».

ბერნგარდ სერი, რომელიც იყო პალესტინაში 1644-1647 წლებში, ამბობს: იერუსალიმში ქართველები სრულებით აღარ არიან; უწინ ისინი აქ ბლომად იყვნენ ფრანგებს შემდეგ, რადგან მათ ეკავათ გოლგოთას ერთი ნაწილი, სადაც დასობილი იყო ჯვარი. როდესაც 1517 წელში სოლიმანმა აიღო იერუსალიმი, აღმოსავლეთის ყველა ქრისტიანებმა უჩივლეს ფრანგებს და წმ. ადგილები დაუთმეს, შეიძლება კიდეც მიჰყიდეს თათრებმა პირველებს; სხვათა შორის ქართველებმა დაიჭირეს გოლგოთას ნახევარი. მათ ეს ნახევარი იყიდეს ფულით, მაგრამ ბოლო დროს იმულებულნი შეიქმნენ გაეყიდათ. ქართველებმა, რომელთაც იერუსალიმში მეშვიდე ადგილი ეკავათ, თავი დაანებეს წმ. სასაფლაოს და გადასახლდნენ ჯვარის მონასტერში, რომ ამით ასცილებოდნენ გარდასახადის მღევას.

ქართველები მეცამეტე საუკუნეში განთავისუფლებულნი იყვნენ გარდასახადისაგან, მაგრამ XVII მათთაც ისე მოსთხოვეს გარდასახადი, როგორც სხვა ქრისტიანებს. შეიძლება ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ამ დროიდგან ქართველების მეფეებმა იწყეს მიმოსვლა მოსკოვის ხელმწიფესთან, როდესაც დასავლეთის საქართველო მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგიდგან იმყოფებოდა სათათრეთის გავლენის ქვეშ.

1640 წელში იერუსალიმში იყო აფხაზეთის კათალიკოსი მაქსიმე, რომელიც იქვე გარდაიცვალა. XVIII საუკუნის ნახევარში მივიდა იერუსალიმში კახეთის დედოფალი ელისაბედი (ელენე), რომელმაც აღაშენა იქ მონასტერი წმ. ნიკოლოზის სახელზე“.

(შემდეგი იქნება).

# ახალი ამბები და შენიშვნები.

მრავალი სამღვდელო პირისაგან მოგვდის საჩივარი სოფლის მამასახლისებზე. მღვდლები უჩივიან მამასახლისებს, რომ იგინი თავის დროზე არ აბარებენ მღვდლებს შეკრებილ დრამის ფულებს. დრამის ფულები იკრიბება სახელმწიფო გარდასახადთან ერთად. ყველამ უწყის, რომ სოფლის საზოგადოებაში ბევრნი არიან ისეთი პირნი, რომელთაც არ შეუძლიათ სახელმწიფო ხარჯის თავის დროზე გადახდა, ან და სულ წასულნი არიან თავის საზოგადოებიდგან. ამ პირთა გადასახადს მამასახლისები ავსებენ დრამის ფულებიდგან და ამიტომ სამღვდელოება თავის დროზე ვერ კმაყოფილდება. რიგია, სასულიერო მთავრობამ იშვამდგომლოს ვისთანაც რიგია, რომ მამასახლისებმა შეკრებილი დრამის ფულები თავის დროზე ჩააბარონ ხოლმე სამღვდელოებას.

*
* *

— უწ. სინოდის ობერ-პროკურორმა განკარგულება მოახდინა, რომ სასულიერო სასწავლებლების მოსამსახურეებს კლუბებში ბანქოს თამაშობა აღეკრძალოთო.

*
* *

„Новости“ იუწყება, რომ ებრაელებს სრულიად აღეკრძალათ სამკურნალო აკადემიაში სწავლაო.

* *
*

— იუსტიციის სამინისტროს პროექტი შეუტანია სახელმწიფო საბჭოში და მოუხსენებია, რა ცვლილება უნდა მოხდეს გამოძიების კანონ—მდებლობაში. ამ პროექტის ძალით გამომძიებლებად მხოლოდ ისინი შეიძლება დანიშნონ, ვისაც ხუთს წელიწადზე ნაკლები არ უმსახურნია, ან თვით ბრალმდებელთან, და ან გამომძიებელთან. იმ კანდიდატებს, რომელნიც სამსახურში არიან და ადგილების მიღებას მოელიან, სამს წელიწადზედ ადრე არც ერთი გამოსაძიებელი საქმე მთლად არ მიენდობათ, თუნდ უმაღლესს სასწავლებელშიც იყვნენ სწავლა დამთავრებულნი. ეს პროექტი დიდს თავისუფლებას აძლევს გამომძიებელს ყოველის საქმის გამოძიებისას და ამასთანავე დაწვრილებით აღნიშნავს, თუ რა დამოკიდებულობა უნდა ჰქონდესთ გამომძიებელსა და ბრალმდებელს ერთმანეთში. გარდა ამისა შემოღებულ უნდა იქნეს ახალი წესი პირველის ჩვენების ჩამორთმევისა და გამოძიებისა.

***

ერთი გიმნაზიის მასწავლებელს ნება ჰქონდა მიცემული, რომ შაგირდების დასადგომი ბინა ჰქონებოდა. ამ მასწავლებელმა სხვისი ცოლი აიყვანა სარჩენად და თავისი საკუთარი მეუღლე კი ებრაულის წესით გაუშვა. ნეტავი რა კეთილი ზედგავლენა უნდა ჰქონებოდა ამ მასწავლებელს მოწაფეებზე?.. კიდევ კარგი, რომ დირექტორმა თავის დროზე აღუკრძალა ამ მასწავლებელს მოწაფეების ხარჯზედ და სასწავლებლად აყვანა. ამ მასწავლებლის ცუდი საქციელი მალე გადაედვა ამავე გიმნაზიის მეორე მასწავლებელს, რომელმაც გადაიბირა თავის ამხანაგის მეუღლე. ამ სამწუხარო მოვლენის გამო ამ გიმნაზიის მასწავლებლებმა ერთ ხმად დაადგინეს, რომ დამნაშავე მასწავლებელი არ მიიღონ არც ოჯახში და არც ხელი ჩამოართვან მას შეხვედრის დროს. ნეტავი ვიცოდეთ, თუ რა შეხედულების არის ამ მოქმედებაზე ხსენებული გიმნაზიის საღმრთო სჯულის მასწავლებელი? ან რა ზომა იხმარა მან, რომ ამ მაგალითებმა ცუდი ზედგავლენა არ იქონიოს მოზარდ თაობაზე?

***

სოფელ ზემო-ქვიტირის მთავარ-ანგელოსის ეკკლესიის კრებული და სამწყსო გულითად მადლობას სწირვენ ვაჭარს სიმონ იაკობის ძეს თევდორაძეს, რომელსაც ზემოხსენებული ეკკლესიისათვის შეუწირავს ასი მანეთი ნაღდი ფული, ბაირაღები და ტაკუკი, ღირებულნი 30 მ. და 60 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზედ.

## სიბრძნე ისო ძისა ზირაქისა.

*
* *

(დასასრული *).

უგნური სიცილის დროს ალიმაღლებს ხმას, ხოლო კეთილ-გონიერი კაცი ცოტათი იღიმება.

ჯაშუში აუწმინდურებს თავის სულს და ყველგან საზარელი იქმნება, სადაც კი იცხოვრებს.

უგნურის მასწავლებელი ემსგავსება ნაფოტების ერთმანერთზე დამაწებებელს, უგნურის მოსაუბრე მსგავსია კაცისა, რომელიც ესაუბრება ვისმეს ყვინთვის დროს. ასეთი კაცი საუბრის გათავების ბოლოს გკითხავს: რას ლაპარაკობდით?

კაცი, რომელიც მიჩვეულია ლანძღვას, თავის დღეში ვერ გადაეჩვევა მას.

თიხის ჭურჭელნი გამოიცდებიან ქურაში, ხოლო კაცი გამოიცდების ლაპარაკში. საცერში ნძრევის დროს რჩება ნაგავი; ასევე რჩება კაცის უწმინდურება მისი მსჯელობის დროს.

მათრახის დანაკრავი აჩენს კვალს, ხოლო ენის დანაკრავი მუსრავს მძვლებსა.. მრავალი დაიღუპენ მჭრელი იარაღისაგან; მაგრამ არც იმოდენი, რამდენიც დაღუპა ენამ. ბედნიერია, ვინც დაემალა ენას, ვისაც არ გამოუცდია მისი სიბრაზე, ვისაც არ უზიდავს მისი უღელი.

შენს სიტყვებს გაუკეთე საწონი და ზომა, შენს პირს გაუკეთე კარები და ურდული; გაფრთხილდი, რომ მათ არ შეგაცდინონ და არ ჩაუარდე ხელში ბოროტ გამზრახველთ.

ხუმარა მეგომარი ემსგავსება ფიცხ ცხენს, რომელიც, ვინც უნდა იჯდეს მასზე, ჭიხვინებს.

ნასწავლმა კაცმა ბევრი იცის, და ბევრად გამოცდილი კაცი იჩენს ცოდნას. ვისაც გამოცდილება არა აქვს, იმან ცოტა იცის; ხოლო ვინც იმოგზავრა, მან გაიმრავლა ცოდნა.

ზოგი კაცი გამოცდილია და ბევრს ასწავლის, მაგრამ თავის სულისათვის კი უსარგებლოა.

განმსწავლული ძისა დაიტკბობს მის მიერ და თავის ნაცნობთა შორის იქების მისგან.

ნუ გიხარის მრავალი უვარგისი შვილები, ნუ გიხარის მრავალი ცოდვილი შვილები. როცა იგინი გამრავლდებიან, ნუ გეხარება, თუმცა მათში არ არის შიში ღვთისა.

მათი იმედი ნუ გაქვს და ნუ დაენდობი მათ სიმრავლეზე; უკეთესია უშვილოდ მოჰკვდე, ვინემ გყავდეს ცოდვილი შვილები.

სასირცხოა მამისათვის გაუზრდელი შვილი, ხოლო გაუზრდელი ქალი არის მამის დამამცირებელი.

კეთილ-გონიერი ქალი იძენს ქმარს, ხოლო უსირცხვილო—სძენს მშობელთ მწუხარებას. მეძავი ქალი არცხვენს მამასაც და ქმარსაც და ორივესაგან იქმნების იგი მოძულებული.

ასწავლე შენს შვილს და იზრუნე მასზე, რომ შემდეგში არ გაწყენინოს მან თავისი ცუდი ყოფაქცევით. ახალგაზრდობაში თავისუფლებას ნუ აძლევ მას და ნურც გაათავამებ მასს.

ცხენი შეუკაველი იქმნების მრისხანე, ხოლო თავის ნებაზედ გაზრდილი შვილი იქმნების გაუგონარი.

ცოდვილ მამას უსაყვედურებენ შვილები, რადგან მისი გულისათვის მათაც ცუდი სახელი აქვსთ.

რამეთუ არა არს ყოველი სირცხვილი დამარხვად კეთილისა და არა ყოველი ყოველთა სარწმუნოსა შინა კეთილ სათნო იჩინებიან.

გრცხვენოდეს მამისა და დედისა სიძვისათვის, და ძლიერისა და მხელმწიფებელისა სიცრუისათვის, მსაჯულისაგან და მთავრისა ცოდვისათვის, კრებულისაგან და ერითა უსჯულოებისათვის, მეზობელისაგან და მეგობრისა უსამართლოებისათვის და ადგილისაგან, სადა მკვიდრ ხარ ქურდობისათვის. შეცთომისაგან მილებისა და მიცემისა და მომკითხავთაგან დუმილისათვის, ხილვისაგან დედა-კაცისა მეძავისა და მიქცევისაგან ნათესავისა პირისა, გამოკლებისაგან ნაწილისა და მისაცემელისა. გრცხვენოდეს თანა განხილვისაგან დედა-კაცისა ქმრიანისა, შემოსისაგან მხევლისა, და გაორებისაგან და სიტყვისა სმენისა და განცხადებისაგან საიდუმლოთა სიტყვათა. მაშინ იქმნებით მორცხვნი და ყველასთან კეთილ განწყობილება გექმნებათ.

*) იხ. «მწყემსი»-ს № 12 1890 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ გრცხვენით ღვთის სჯულის სინამდვილით აღსრულება; ნუ გრცხვენით სიმართლისათვის სასწორისა და საზომისა მოგებისათვის მრავალთა და მცირეთა. ნუ გრცხვენიათ მიუდგომლობისა სყიდვისა და გასყიდვის დროს და სწავლისათვის ძეთა. ნუ გრცხვენით სწავლისათვის უმეცარისა და უგუნურისა და მოხუცებულისა. მაშინ იქმნები კეთილ აღზრდილი და ყოველი კაცისაგან დაიმსახურებ პატივის ცემას.

რომელი შეეხოს ფისსა, გაშავდეს; და რომელი შეუერთდეს ამპარტავანთა, მათ მიემსგავსოს.

ნუ ასწევ ტვირთსა უფროს თავისა შენისასა; ნუ შეუერთდები მას, ვინც შენზე ძლიერია და მდიდარი. რა ერთობა არის ქვაბსა და ქოთანსა შორის? ქვაბი მიეხლება მასს და ქოთანი გატყდება.

ნუ გშურს ცოდვილის დიდება; ვინაიდგან არა უწყი შენ, თუ რა დაემართება მას შემდეგში. ცოდვილთა გზა მოჰფენილია ქვებით, ხოლო ამ გზის ბოლო არის უფსკრული ჯოჯოხეთისა.

უზრდელობა არის კაცისათვის, როდესაც იგი სხვის ლაპარაკს ფარულად ისმენს კარებიდგან. კეთილ-გონიერ კაცს გააბრაზებს ასეთი მოქმედება.

უგნურს ბევრს ნუ ელაპარაკები და ნურც მასთან ივლი; ერიდე, რომ მისგან უსიამოვნება არ შეგემთხვეს.

გადამგდები ქვისა ფრინველსა ზედა, განსდევნის მას; ხოლო მეგობრის მგმობელი არღვევს მეგობრობას.

ფრინველნი მსგავსისა მათისა თანა იკრიბებიან, და ჭეშმარიტება მომქმედთათანა მისთა მიიქცევის.

მკვდარსა ზედა სტიროდე, შესაფერად შემოსე მისი სხეული და ნუ მოერიდები მის დასაფლავებას.

სტიროდე მიცვალებულსა ზედა შვიდი დღე, ხოლო უგნურზე და ცოდვილზე ყოველსა დღესა ცხოვრებისა მისისასა.

ზარმაცი მსგავსია ტალახიანი ქვისა; ყველანი დასცინებენ მასს. ზარმაცი ემსგავსება ხარის სკორესა; ყველანი, რომელნიც კი აიღებენ მას, ხელს გაიწმენდენ.

ცარიელი და ცრუ სასოება აქვს უჭკუო კაცს, ხოლო ღამის სიზმრები აღაფრენენ უგნურსა.

ვითარცა შემპყრობელი ჩრდილისა და მდევარი ქარისა, ეგრე მორწმუნე სიზრმისა.

მკითხაობა, მწავლეელობა და სიზმრები ამაონი არიან, და ცრუსაგან რაა ჭეშმარიტი?

სიზრმებმა მრავალი აცთუნეს და სიზრმების მოიმედენი დაილუპენ.

დიდი შრომა აწევს კაცს, და მძიმეა უღელი ადამის ძეთა, დღიდგან მათი დაბადებისა დღემდე მათი გარდაცვალებისა,

ჰოი სიკვდილო, რავდენ მწარე არს ხსენება შენი კაცისათვის, რომელიც მოსვენებით სცხოვრებს თავის მამულში, კაცისათვის, რომელიც არაფერზე არ ზრუნავს და ყოველ საქმეში ბედნიერია.

ჰო სიკვდილო, კეთილ არს სასჯელი შენი კაცისათვის, რომელიც სიღარიბეს ითმენს და დაუძლურებულია, მოხუცებულისათვის, და შრომათაგან ძლევსილისათვის, რომელსაც აღარა აქვს იმედი და დაჰკარგეს მოთმინება.

ნუ გეშინია სიკვდილის სასჯელისა, მოიგონე წინაპარნი შენნი და შთამომავლობა. სიკვდილი არის სასჯელი უფლისა ყოველსა ხორციელსა ზედა.

ყოველი ხორციელი, როგორც ტანთ-საცმელი, ძველდება; ვინაიდგან საუკუნედგან დადგენილი აქვს: სიკვდილით მოჰკვდენ. ყოველი ნივთი, რომელიც კი ლპება, ჰქრება.

ვითარცა ფურცელნი იზრდებიან ხესა ზედა ხშირსა, ზოგი უკვე სცვივიან, ხოლო სხვანი იზრდებიან; ეგრეთვეა კაციც—ზოგი ჰკვდება, ზოგი იბადება.

რიცხვი დღეთა კაცისათა მრავალ ას წელი. ვითარცა ცვარი ზღვისა და მარცვალი ქვიშისა, ეგრე მცირენი არიან წელნი დღეთა შინა საუკუნეთა.

უფალმა შექმნა კაცი მიწისაგან, და კვალად მიაქცია იგი მას შინა. განსაზღვრული დღე და დრო მისცა უფალმა კაცს, შემოსა იგი ძალითა და შეჰქმნა იგი მსგავსად თვისისა; და დასდვა შიში ყოველსა ზედა ხორციელსა, მიანიჭა მათ განზრახვა და გული გულის ხმის ყოფად, აღავსო იგინი გონებით, უჩვენა მათ კეთილი და ბოროტი, მისცა მათ ცოდნა, მისცა მათ სჯული ცხოვრებისა, საუკუნო აღთქმა დაუდვა მათ და უჩვენა მათ დიდებულება დიდებისა და დიდება საქმეთა მისთა.

თვალნი უფლისანი ბევრეულად უნათლეს მზისა არიან; თვალნი უფლისანი ხედვენ ყოველსა გზა-

სა; კაცისასა განმხილველ არიან საიდუმლოთა შინა ადგილთა. უფალმა უწყოდა ყოველივე პირველადვე, ვინემ შექმნიდა ქვეყანას, აგრეთვე მან უწყის ყოველივე შემდგომად აღსრულებისა.

ვითარცა თიხა მეკეცისა ხელთა შინა მისთა, ყოველნი გზანი მისნი ნებისაებრ მისისა, ეგრეთვე კაცნიცა ხელსა შინა შემომქმედისა მათისა მიცემად მათდა სასჯელისაებრ მისისა.

თვალნი უფლისანი მოყვარეთა ზედა მისთა, შემწე ძალისა, და დამამტკიცებელ ძლიერებისა. საფარველი სიცხისა, და საფარველი სამხრისაგან, მცველი შებრკოლებისაგან, და შემწე დაცემისაგან, აღმადგინებელი სულისა და განმანათლებელი თვალთა, კურნების მომცემელი ცხოვრებისა და კურთხევისა·

უფალი არის მსაჯული პირუთნელი; იგი არ მიხედავს პირსა, იგი ისმენს დევნილის ლოცვას და არ უგულებელსა ჰყოფს ობლის ვედრებას, არც ქვრივისას, როცა კი ისინი შეევედრებიან უფალს.

ღმერთი არის გულთა-მხილველი, მან უწყის ყოველივე ჩვენი გულის ზრახვანი, მისგან არ დაიმალების არცა ერთი სიტყვა.

მან ჰქმნა დიდებულნი საქმენი თავის სიბრძნისა, იგი იყო და იქმნების საუკუნოდ. რამდენად დიდებულ არიან ყოველნი საქმენი მისნი, თუმცა ჩვენ ვხედავთ მხოლოდ მცირე ნაწილს.

ღმრთის შემწეობით ყველანი ადვილად ეწევიან თავის დანიშნულებას და ყოველივე მკვიდრ არს მისი სიტყვით.

საშინელ არს უფალი და ფრიად დიდ, და დიდებულ არს ძლიერება მისი. როცა ვაქებთ მას, ადიდეთ იგი, რაც კი შეგიძლიათ. როცა ადიდებთ მას, შეიკრიბეთ ძალა, მაგრამ ტყუილად ნუ შრომობთ, ვინაიდგან არ შეგიძლიათ იხილოთ იგი.

ვინ იხილა იგი, რომ აგვიხსნას? ვის შეუძლია ადიდოს ის, ისე როგორც მას შეშვენის? ჩვენ ვერ მიესწრდებით მას. იგი არის ყოველივე!


# კერძო სამკურნალო
## ს. ბ. თოფურიასი
## მოსვლელთა ავათმყოფთათვის
და
## მუდმივ საწოლებით.

ავადმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის ცხრა საათიდამ სამ საათამდის: შინაგანი ავათმყოფთათვის მიიღებს ს. ბ. თ ო ფ უ რ ი ა. ხირურგიულისა და გინეკოლოგიისათვის—ლ. ა. ზ ა ვ ს ე ე ვ ი. სახებით და ქალის ავადმყოფობისათვის—ექიმი-ქალი მ. ფ. კ ა ლ ა ნ ი. ელექტრონით ექიმობას იკისრებს კვირაში სამჯერ (კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით) ნაშუადღევის ხუთ საათიდამ შვიდ საათამდის ქუთაისის სამხედრო საავადმყოფოს უფროსი ექიმი, საექიმო მეცნიერების დოქტორი კ ე ი ხ ე ლ ი.

სამკურნალოსთან არის გამართული კაბინეთი ავათმყოფთა დასაზელად (მასაჟისათვის) ექიმების ხელმძღვანელობით და კაბინეთი შარდისა და ნახველის გამოსაკვლევად.

ფასი ექიმობისა თითოეულ ნახვაზედ ათი შაურია. კონსილიუმი (რჩევა), რომელიც შესდგება სამკურნალოს ყველა ექიმებისაგან, ეღირება 3 მანეთი. შარდის თვისებათა გამოკვლევა—ერთი მანეთი; შარდის გამოკვლევა რაოდენობის მხრით—სამი მანეთი; მიკროსკოპით გამოკვლევა ნახველისა—ორი მანეთი; დაზელვისა (მასაჟის), ელექტრონით ექიმობისა და აგრეთვე საავადმყოფოში დაწოლისა და მოვლის ფასი—გარიგებით.

მომსვლელ ავადმყოფებს მიიღებენ ბალახვანის ქუჩაზედ, სტეფანოვის სახლში. მუდმივი ქვეშაგებიან-საწოლიანი სამკურნალო იმყოფება ბოკერიას სახლში, ქუთაისის ბულვარის პირ-და-პირ.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.



შინაარსი: შემცდარი დასკვნა.—არა უწყიან, რასა იტყვიან.—ჩვენი მოგზაურობის შენიშვნები.—ქრისტიანე ქალი ნადსონისა.—საისტორიო მასალები.—ახალი ამბები და შენიშვნები.—სიბრძნე ისო მისა ზირაქისა.—განცხადება.



რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, Іюля 14 1890 г.*

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ помѣщ. Кутаисѣ, въ домѣ бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.